გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№32 (1574) 8 - 14 სექტემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რა ჩაიფიქრა მიშამ

რეალურად ჩამოვა თუ არა საქართველოში ექსპრეზიდენტი და რატომ ჰგავს მისი განცხადება ლატარეას

თბილისში ერთი შვიდი წლის ბიჭი მოკლეს, ორი კი – გაიტაცეს

ვინ იყო მანიაკი, რომელიც ფსიქიატრიულიდან გაიქცა

საბჭოთა გენიოსი, რომელიც კომუნისტებმა დახვრიტეს

სპეცოპერაცია „თხევადი ოქრო“, რომლის დეტალებსაც, „კა-გე-ბე“-ს მსგავსად, რუსეთის დღევანდელი უშიშროებაც მალავს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

არჩილ გამზარდია: „ყველა პოლიტიკური ჯგუფი ამორფულია!“

„საქართველოში პოლიტიკური მენტალობა, გარკვეულწილად, პოსტსაბჭოთა რეჟიმშია“

ეს სტატია ყველამ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ – რას გულისხმობს პრემიერის ახალი ინიციატივა

ვის შეეხება სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამა

შს მინისტრმა და ცესკო-ს თავმჯდომარემ არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი კალანდარიშვილმა, 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცესკოს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაცია კოორდინირებულად გაიცვლება. გარდა ამისა, მემორანდუმი ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ითვალისწინებს. განისაზღვრა საარჩევნო პერიოდში მხარეთა შორის თანამშრომლობის ფორმები და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი, ბოლო წლებია, ყველა არჩევნებთან დაკავშირებით ფორმდება. მემორანდუმის მიზანია კოორდინირებული მუშაობა და არჩევნების უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმუხურში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული კ.კ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა კ.კ.-მ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში, წარსულში არსებული კონფლიქტის გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შედეგად, ნაცნობს – 1954 წელს დაბადებულ ვ.ვ-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, დანით გულმკერდის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

პოლიციამ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში კრიზისული სიტუაციების მართვის სასწავლო კურსის დახურვის ცერემონია ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL), რეგიონული უსაფრთხოების სამსახურისა (RSO) და გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ატაშეს ოფისის ერთობლივი ორგანიზებით, კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებზე სასწავლო კურსი ჩატარდა.

სასწავლო კურსის დახურვის ღონისძიებას აშშ-ის ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე და მინისტრის მოადგილეები – ალექსანდრე დარახველიძე და გიორგი ბუთხუზი დაესწრნენ. მათ ტრენინგის მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცეს.

აშშ-ის ელჩმა კრიზისული სიტუაციის მართვისა და ინციდენტებზე რეაგირების კუთხით სამართალდამცველთა გადამზადებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სასწავლო კურსის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: კრიზისის მართვისა და სამეთაურო შტაბის პრინციპები; კრიზისის ხელმძღვანელობა; უწყებათაშორისი თანამშრომლობა კრიზისულ სიტუაციებში, ისტორიული და პრაქტიკული მაგალითები და სხვ.

ტრენინგს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) მოწვეული ტრენერები – ჯეიმს ნიუტონი და ოთომ ბრაუნი უძღვებოდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მადლობა გადაუხადა, წლების განმავლობაში, ამერიკის მიერ სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

ფოთთან ავარია მსხვერპლით დასრულდა

ფოთი-გრიგოლეთის საზღვართან ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილი გზის პირას მდებარე ბეტონის ბოძს შეეჯახა და მამაკაცი, რომელიც საჭეს მართავდა ადგილზე გარდაიცვალა.

„ვერსიანიუსი“

უაქციზო ელექტროსიგარეტის შენახვა-გადაზიდვაზე ერთი პირი დააკავეს

„გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს“, – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 1596 ერთეული უაქციზო ელექტრო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულებაც 47 880 ლარს შეადგენს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

„ვერსიანიუსი“

გორის სკვერებიდან საქანელები ისევ მოიპარეს

გორში, წმინდა წყლის დასახლებაში გასართობი და დასასვენებელი სივრცე უკვე მეორედ გაიძარცვა, – ამის შესახებ ინფორმაციას გორის მერია ავრცელებს.

საქანელა წაღებულია ჭალის დასახლების სკვერიდანაც.

„სკვერი, რომელიც სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში გორის მერიამ მოაწყო, რამდენიმე დღეა, რაც დასრულდა და ქალაქს კიდევ ერთი დასასვენებელი სივრცე შეემატა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ეს არის უკვე მეორე შემთხვევა, რაც ადგილზე მისულ პატარებს საქანელების ნაწილი აღარ დახვდათ'', – აღნიშნავენ გორის მერიაში.

„ვერსიანიუსი“

ნინო დოლიძე

რა ჩაიფიქრა მიშამ

რეალურად ჩამოვა თუ არა საქართველოში ექსპრეზიდენტი და რატომ ჰგავს მისი განცხადება ლატარეას

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა საჯაროდ და ხმამაღლა აცხადებს, რომ საქართველოში დაბრუნდება. ასე იყო, მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც, როცა, პრაქტიკულად, ისიც თქვა, თურქეთიდან შემოვალო და მთელი თუ არა, ნახევარი „სანაცეთი“ სარფის საბაჟოზე ათენებ-აღამებდა, მაგრამ მაშინ საკუთარი „ფანები“ გადაადგო.

ზოგადად, ამის მერეც „ფანები“ არაერთხელ „გადაყარა“ და მართალია, ახლაც არსებობს მოლოდინი, რომ მოვლენები გადაგდების სცენარით განვითარდება, ექსპერტთა ნაწილი ასე არ ფიქრობს და ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ამჯერად აუცილებლად ჩამოვა. ოპტიმისტ ანალიტიკოსებს ამის თქმის საფუძველს, ალბათ, ის აძლევთ, რომ ექსპრეზიდენტის ახლანდელი განცხადება წინა განცხადებებზე მეტად კონკრეტული იყო. კერძოდ, სააკაშვილმა თქვა:

„ჩვენ ვართ ქართველები, ჩვენ გვაქვს ღირსება და სიამაყე და ჩვენ გვინდა ადამიანური ცხოვრება. მინდა ვთქვა, რომ პირადად მე ჩავალ ამ არჩევნებზე საქართველოში და ასევე, მინდა, მოვუწოდო უცხოეთში მყოფ ყველა ჩვენს თანამემამულეს. ვისაც გაქვთ ამის საშუალება, არჩევნების დღეებში აიღეთ შვებულება და გადადეთ ამისთვის თქვენი დრო, საშუალებები. ვისაც როგორც შეგიძლიათ ჩასვლა, ხმელეთით, ჰაერით, ჩავიდეთ საქართველოში...

მინდა დავასრულო ერთი და იგივე წრეზე ამ რევანშითა და უბედურებით სიარული, მაგრამ ივანიშვილი მოიტანს უკან ყველა მოპარულ კაპიკს. ის აუნაზღაურებს თითოეულ ქართველს იმ ზარალს, რომელიც მიაყენა“.

ამასთან, ამ განცხადებით სააკაშვილმა თქვა, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობს. ერთი სიტყვით, მიშა გეგმავს, რომ უკან არ დაიხიოს, მაგრამ ასეთი გაბედული და გულადია? – ეს კითხვა, შესაძლოა, არაერთ ადამიანს გაუჩნდეს.

თუ „ოცნების“ ლიდერებს და ასევე, ცალკეულ ოპოზიციონერებს მოვუსმენთ, ყოფილი პორეზიდენტი ჩამოსვლაზე განცხადებას მხოლოდ საკუთარი ფანების მობილიზებისთვის აკეთებს. აი, მაგალითად, „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერი, ზურაბ ჯაფარიძე თვლის, რომ სააკაშვილი, უბრალოდ, ლატარეას თამაშობს და მეტი არაფერი.

„სააკაშვილს ვერავინ დაუშლის საქართველოში დაბრუნებას. სრულიად გასაგები სურვილია და თუ რამის მჯერა მისი საუბრებიდან, ისაა, რომ სამშობლოში დაბრუნება მართლა უნდა, მართლა ენატრება აქაურობა.

ასევე, მისი გადასაწყვეტია, როდის, რა ფორმით, რა გზით და რა განწყობით დაბრუნდება, მაგრამ:

როდესაც გესმის, რომ შენ არ ხარ ერთი რიგითი მოქალაქე და შენი არათუ დაბრუნება, არამედ, დაბრუნების დაპირებაც კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ განწყობებზე;

როდესაც გესმის, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში, ივანიშვილი შენ გიყენებდა საფრთხობელად და ყოველი არჩევნების წინ, ამ საფრთხობელათი დაამობილიზა საკუთარი ამომრჩეველი;

როდესაც გესმის და თუ მართლა გჯერა, რომ ეს არჩევნები მართლა კრიტიკულია ქვეყნისთვის და მართლა გადარჩენა-რუსეთში დაბრუნების საკითხი წყდება;

როდესაც გესმის, რომ ამ არჩევნებზე პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ოპოზიციური ელექტორატის მაქსიმალური მობილიზება და შენი დაბრუნების მორიგი დაპირება, მინიმუმ, ივანიშვილის ელექტორატის მობილიზებას უფრო უწყობს ხელს;

როდესაც, როგორც მინიმუმ, სახეზე გაქვს გასული წლების გამოცდილება და არავინ იცის, ზუსტად ახლა დაბრუნების დაპირება რა გავლენას იქონიებს ამომრჩევლების განწყობებზე;

ასეთ კრიტიკულ დროს, როცა ცოტაც და, დასავლეთი დიდი ხნით ხელს ჩაიქნევს ამ ქვეყანაზე;

როცა ეს ყველაფერი გესმის და მაინც იგივეს აკეთებ, რაც თითქმის ყველა არჩევნების წინ გააკეთე – გამოდიხარ მორიგი დაბრუნების დაპირებით.

სულ, მინიმუმ, ლატარეას თამაშობ, სულ მინიმუმ და ლატარიის დროა, ახლა?

თუ მართლა გააზრებული გაქვს, რა შეიძლება დაგვემართოს, თუ ივანიშვილი ჩაბეტონდა ოქტომბერში?

ჩამოსვლა რომ რთული ნაბიჯია, გასაგებია, მაგრამ თუ ჩამოსვლას წყვეტ, ჩამოსვლა შეიძლებოდა იანვარშიც, მარტშიც, ივნისშიც, შარშანაც და შარშანწინაც.

პ.ს. კუდები რომ არ მოებას ამ ტექსტს – ყველა შეთანხმება ძალაშია, რომელიც არსებობს „გირჩი – მეტ თავისუფლებას“, ნაციონალურ მოძრაობასა და სხვა პარტიებს შორის. გამარჯვებისა და გადარჩენის გზა გადის ერთობლივ ბრძოლასა და კოორდინაციაზე“, – წერს სოციალურ ქსელში ჯაფარიძე.

შეფასებაში უფრო მკაცრია სტრატეგია აღმაშენებლის და აწ უკვე მესამე ძალის ლიდერი, გიორგი ვაშაძე, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლით, პოლარიზაცია კიდევ უფრო გაიზრდება:

„მიხეილ სააკაშვილის განცხადება, სამწუხაროდ, ხელს უწყობს კიდევ უფრო პოლარიზებას ამ ქვეყანაში. ამ არჩევნებზე, გარდა რეფერენდუმისა, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის პოლიტიკური პოლარიზების დასრულება. ეს რეფერენდუმი ტარდება არა იმაზე, ჩამოვა თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოში, არამედ იმაზე, გავუშვებთ თუ არა „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებიდან. ეს ფოკუსი აუცილებლად უნდა გავასწოროთ ამ არჩევნებზე“.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, „ოცნებაში“ ამბობენ, რომ თუ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვა, მას საქმე მართლმსაჯულებასთან ექნება.

„უკვე მეჩვიდმეტე განცხადებაა, რომ სახმელეთო გზით საქართველოსკენ მოემართება. განცხადება, რაც გააკეთა, ვფიქრობ, პოლიტიკური უზნეობის პიკია, როდესაც იწყებს საუბარს ევროპული ფასეულობებით და ამთავრებს შარაგზის ყაჩაღის გამონათქვამებით, ქონების წართმევის თაობაზე. რაც შეეხება მის ჩამოსვლას, ნაკლებად მგონია, თუმცა, აქ უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ მიიღება, არის სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც სამართლებრივად იმოქმედებს“, – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი, გია ვოლსკი.

ერთი სიტყვით, ასეთია ქართული პოლიტიკური სპექტრის შეფასებები სააკაშვილის საქართველოში შესაძლო დაბრუნებასთან დაკავშირებით. ის, რომ ჩამოსვლის შემთხვევაში, მართლმსაჯულებასთან ექნება საქმე, მარტივია – სააკაშვილზე საქართველოში არაერთი საქმეა აღძრული და ძებნილიცაა. შესაბამისად, როგორც კი ქართულ მიწაზე დადგამს ფეხს, მის მიმართ ქვეყანაში მოქმედი კანონები ამუშავდება.

უნდა თუ არა მიშას ციხეში წასვლა? – ალბათ, არ უნდა, მაგრამ რა მოხდება, თუ ავანტურაზე მაინც წავა და სამშობლოში ჩამოვა? – ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს, თუმცა, გარკვეულწილად, მართალია პატარა ვაშაძე, რომ მიშას ჩამოსვლა პოლარიზაციას გაზრდის – ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია, რომ მას მიმდევრები ჰყავს და როცა ეს ადამიანები ნახავენ, რომ მათი ლიდერი გისოსებს მიღმაა, ალბათ, გარკვეულ ქმედებებზე გადავლენ. ტყუილად კი არ ამბობენ, ენმ ერთგვარი სექტააო. პოლიტიკური სექტის წევრები კი, როგორც ცნობილია, ყველაფერზე არიან წამსვლელები, თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ სააკაშვილი საქართველოში მას შემდეგ ჩამოვიდეს, რაც არჩევნების შედეგები იფიციალურად გამოცხადდება.

რა იქნება, ამ შემთხვევაში, მისი ჩამოვლის მიზანი? – მიზანზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ნაარჩევნებს ჩამოსვლა, ალბათ, უფრო იმიტომ ხიბლავს, რომ იმედი აქვს, ადრე თუ გვიან, ქვეყანაში კოალიციური მთავრობა შეიქმნება და მიშა, როგორც საფრთხობელა, საშიში აღარავისთვის იქნება.

ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა და როგორ იქნება – არჩევნებამდე, ხომ, თვეზე ნაკლებიღაა დარჩენილი...

ნონა მამულაშვილი: „სააკაშვილს არ აქვს პრობლემა, ჩამოვიდეს და სასამართლოს კითხვებზე პასუხი გასცეს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი აცხადებს, რომ არჩევნების დღეს – 2 ოქტომბერს საქართველოში იქნება. ეს განცხადება, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, სააკაშვილს ასეთი რამ პირველად რომ ეთქვა, მაგრამ არის ერთი „მაგრამ“... მახსოვს, 2016 წელს, „ვერსიაში“ ჩემი პირველი სტატია, სწორედ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის დაანონსებას ეხებოდა. მაშინ ამ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, თუმცა მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე, არაერთი დაპირების მიუხედავად, სააკაშვილი ისევ კიევშია. რატომ უნდა დავუჯეროთ ექსპრეზიდენტს ახლა და რა პოლიტიკური გეგმები აქვს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას? – „ვერსია“ პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ნონა მამულაშვილს ესაუბრა:

– ქალბატონო ნონა, არსებულ პოლიტიკურ სურათში რას შეცვლის მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლა და რატომ უნდა დავუჯეროთ მას ახლა?

– საქართველომ გადაუხვია პროდასავლურ ვექტორს. ეს დავალებაა, რომ ქვეყანაში ყველა ინსტიტუტი ჩამოინგრეს, გაღარიბდეს და სრულად გადავიდეს რუსეთის დაქვემდებარებაში. ვხედავთ, რომ ხელისუფლება უკვე ღიად დაუპირისპირდა დასავლეთს და ლავროვმაც მოიწონა ეს საქციელი.

ახლა უნდა დადგეს ის ისტორიული მომენტი, როცა საქართველომ უნდა აირჩიოს, დასავლეთი უნდა თუ რუსეთი. მიხეილ სააკაშვილის როლი ყველაფერ ამაში ისაა, რომ ის თანამედროვე სახელმწიფოს ავტორია, მისი მმართველობის პერიოდში შეიქმნა ყველა ის რეფორმა, რომელმაც მსოფლიოში საქართველოს პოპულარობა გაზარდა. უამრავი საერთაშორისო პარტნიორი შევიძინეთ. ქვეყანა, რომელიც ჩამონგრეული იყო, 2003 წლის შემდეგ, პირველი რეფორმატორი და მაგალითი გახდა სხვა ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ავტორიტარული რეჟიმიდან გამოსვლა და განვითარება სურდათ, როგორც პროდასავლურ სახელმწიფოებს. ასეთი პოლიტიკური ნება ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს.

დღეს კი რუსეთთან ჰიბრიდული ომი გვაქვს. საერთაშორისო პარტნიორებთან ყველანაირი ურთიერთობაა გაწყვეტილი, არადა, მხოლოდ მათ შეუძლიათ, შეაკავონ რუსეთის ქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე.

გვინდა თუ არა, რომ როგორც სახელმწიფო, გადავრჩეთ და შევინარჩუნოთ სახელმწიფოებრიობა? თუ გვინდა, ჩეჩნეთის სტილის სახელმწიფო გავხდეთ? – მიხეილ სააკაშვილი გვპირდება, რომ საქართველო უნდა შედგეს, როგორც სახელმწიფო. აქ უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები. საქართველო უნდა დაუბრუნდეს იმ ვექტორს, რასაც ჰქვია პროდასავლური გზა და ერთადერთი საშუალება დღევანდელი მდგომარეობის გარდატეხისთვის ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს აძლევს სტიმულს მოსახლეობას, რომ მოვიდეს არჩევნებზე და მისცეს ხმა ოპოზიციას.

– იაგო ხვიჩიამ განაცხადა, დავენიძლავები ენმ-ს ნებისმიერ წევრს, რომ სააკაშვილი არ ჩამოვაო და რას იტყვით, დათანხმდებით ამ სანაძლეოს?

– იაგო ხვიჩია რას ეწევა, კაცმა არ იცის, ამიტომ ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. ძირითადად, საღი აზრი არასდროს ფიქსირდება მაგ ადამიანისგან.

– მაშინ, მე მიპასუხეთ, რატომ უნდა დავუჯეროთ სააკაშვილს? – მან არაერთხელ დააანონსა ჩამოსვლა, მაგრამ პირობა ერთხელაც არ შეასრულა...

– ახლა არის გადამწყვეტი მომენტი – ან ახლა, ან დადგება 1921 წელი, როცა საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და გახდა რუსეთის ნაწილი.

– სააკაშვილის საქართველოში ყოფნა რატომაა აუცილებელი იმისთვის, რომ ადამიანებმა ენმ-ს დაუჯერონ? სხვა ლიდერები, მაგალითად, მელია ამისთვის საკმარისი არაა? სააკაშვილს ისეთი მასშტაბის მხარდაჭერა აქვს პარტიაში, როგორიც სხვას, არავის?

– მიხეილ სააკაშვილი არის ამ პარტიის ფუძემდებელი და ის რეფორმატორი, რომელმაც საქართველოს უდიდესი პოპულარობა მოუტანა. სააკაშვილი პოლიტიკურად დევნილია უკვე 9 წელია. მიუხედავად პიჯაკების უაზრო საქმისა და მორიგი „ტრიუკებისა“, ვერსად ვერაფერი დაუმტკიცეს, მოსყიდული სასამართლოს ფარგლებში.

– სხვათა შორის, სააკაშვილს ვალერი გელაშვილის საქმეზეც აქვს მისჯილი და ცოტა ხნის წინ, გელაშვილმა „ვერსიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, სააკაშვილს პირადად მე დავხვდები ტრაპზე, ხელბორკილებითო...

– სააკაშვილს არ აქვს პრობლემა, ჩამოვიდეს და რეალურ, არაპოლიტიზირებულ სასამართლოში დაჯდეს და გასცეს პასუხი კითხვებს, რაც მის მიმართ არსებობს.

რა პოლიტიკური გეგმები აქვს ენმ-ს

ამ ეტაპზე, რასაც გააკეთებს სასამართლო, ეს იქნება პოლიტიკური ნაბიჯი და პოლიტიკური დევნის გაგრძელება, ამიტომ ამ სასამართლოსა და ხელისუფლებას ნდობა აქვს ნული! რაც უნდა ილაპარაკონ მიხეილ სააკაშვილზე, ეს არის ტყუილი, სანამ არ შედგება დამოუკიდებელი სასამართლო.

– თუ მიხეილ სააკაშვილს ჩამოსვლისას დააკავებენ, საინტერესოა, მოვლენების როგორ განვითარებას პროგნოზირებს თქვენი პარტია?

– პროგნოზს ვერ გავაკეთებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ გვყავს საერთაშორისო პარტნიორები, რომლებიც აუცილებლად ჩაერთვებიან ყველაფერში და ანალოგიური სცენარი დადგება, როგორც ნიკა მელიას შემთხვევაში მოხდა.

– მაშინ პრემიერი გადადგა და როგორ ფიქრობთ, ახლაც იგივე მოხდება?

– ეს პრემიერი იქნება თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს, გადაწყვეტილებას იღებს ერთი ადამიანი.

– ოპოზიციის პათოსის კვალობაზე, როგორ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებთ ამ არჩევნებს, თქვენი აქტიურობა საკმარისად მაღალი არაა, რატომ?

– ერთი თვეა კიდევ არჩევნებამდე. 2 სექტემბრამდე დადგინდა სიების საკითხი და ახლა დაიწყება ძალიან აქტიური კამპანია. ჩვენ ძალიან აქტიურად ვხვდებით მოსახლეობას და ვყვებით იმ პრობლემებზე, რაც მოსახლეობას აწუხებს.

– ხუთთვიანი უარის შემდეგ, მიშელის დოკუმენტზე თქვენმა პარტიამ ხელი მოაწერა, თუმცა მმართველი ძალა არ აპირებს, ამ შეთანხმებას მიუბრუნდეს და შესაბამისად, ძალაში აღარაა 43%-იანი ბარიერის საკითხიც. ამის გათვალისწინებით, რაზე დაყრდნობით იმედოვნებთ, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება?

– ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოუწევთ, მიუხედავად იმ თამაშისა, რასაც ევროკავშირთან თამაშობენ. ძალიან კარგად იციან, რით შეიძლება დასრულდეს ასეთი თამაშები და ვნახეთ, რომ სანქციები წამოვიდა. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს სანქციები მოსახლეობასაც შეეხო, მაგრამ სხვაგვარად დასავლეთმა ვერ გააგებინა, რომ რეალურად გატარდეს ის რეფორმები, რაზეც 8 წელია, საუბრობენ, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ. ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მედიაციით და შესაბამისად, მათ ხუშტურებზე არავინ ივლის, ამიტომ ეს შეთანხმება ცოცხალია. 43%-ის რომ ეშინოდათ, ზუსტად ამიტომ დაარღვიეს ეს შეთანხმება, მაგრამ ყველა იმ კვლევის გათვალისწინებით, რომლითაც ამის ნახევარსაც ვერ აიღებენ, მოუწევთ ვადამდელი არჩევების დანიშვნა. სხვა გამოსავალი დღეს ჩვენს ქვეყანას არ აქვს.

არჩილ გამზარდია: „ყველა პოლიტიკური ჯგუფი ამორფულია!“

„საქართველოში პოლიტიკური მენტალობა, გარკვეულწილად, პოსტსაბჭოთა რეჟიმშია“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

2 ოქტომბრის არჩევნებამდე თვეზე ნაკლებიღა რჩება. ოპოზიციისთვის თვითმმართველობის არჩევნები რეფერენდუმია, სადაც მმართველი ძალის პოლიტიკური ლეგიტიმაციის საკითხი უნდა გადაწყდეს. ხელისუფლებისთვის კი თვითმმართველობის რიგითი არჩევნებია, სადაც დამაჯერებელ გამარჯვებას პროგნოზირებს... დაიხვეწა თუ არა საქართველოში საარჩევნო კამპანიის ტექნიკა და რამდენად აუწყვეს ფეხი ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა მსოფლიო ტრენდს? – „ვერსია“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას ესაუბრა:

– საარჩევნო კამპანია სტანდარტულად მიმდინარეობს, სტრატეგიებში სიახლე არ ჩანს, განსაკუთრებით, ოპოზიციის მხრიდან, რადგან ოპოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის არჩევნებია, კამპანიას გლობალურ პოლიტიკაზე აგებს.

მეორე მხრივ, ხელისუფლება სტანდარტულად აპელირებს წინა ხელისუფლებაზე. როცა „ოცნების“ საარჩევნო კამპანია ასეთი პროპაგანდისტულია, ოპოზიციის კი – უფრო ამორფული, უფრო მეტად წარმატებული, როგორც წესი, ძალაუფლების მქონე სუბიექტი, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება ხდება.

ამ ეტაპზე, ამომრჩეველში გარდამტეხი მუხტი არ ჩანს და ამიტომ, 2 ოტომბერი, შეიძლება, აქტივისტური ტიპის არჩევნებს დაემგავსოს.

– რას გულისხმობთ?

– შედარებით დაბალი აქტივობის პირობებში, უფრო აქტიური ამომრჩევლის მობილიზაცია მოხდება არჩევნების დღეს, მაგრამ რადგან ყველაფერი ეს თვითმმართველობის არჩევნების რეჟიმშია, თემებში, საქალაქო და რეგიონულ მასშტაბებზე ინსტიტუციურად განვითარებულ პარტიებს უფრო მეტი პერსპექტივა აქვთ, რადგან ისინი უშუალოდ მუშაობენ ამომრჩეველთან.

საერთოდ, თვითმმართველობის არჩევნების დროს, ამომრჩეველს ძალიან კონკრეტული ამოცანები და უფრო ნაკლები მოტივაცია აქვს, რომ გლობალური პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღოს. ასეთი, ინსტიტუციურად განვითარებული პარტია კი სულ ორია საქართველოში – „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ამიტომაც, ჩვენი საარჩევნო პროცესი ამ კონტექსტს ვერ სცდება.

ამ პროცესში ისეთ პოლიტიკურ მუხტს ვერ ვხედავ, როგორიც 2012 წელს, ან, სულაც, 2003 წელს იყო. შესაბამისად, ამ პროპაგანდისტულ ომში ხელისუფლება, ალბათ, უფრო წარმატებულ შედეგს დადებს, რასაც გარკვეული წინაღობა ისევ მოჰყვება, მაგრამ ყველაფერი ეს, შესაძლოა, ხელისუფლების ძალაუფლების განმტკიცებით დასრულდეს, თუ, რა თქმა უნდა, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში რამე განსაკუთრებული არ მოხდა.

– განსაკუთრებული რა უნდა მოხდეს?

– შეიძლება, იყოს კომპრომატები – სხვა ხერხები ჩვენთან ნაკლებად წარმატებულია, ან ამომრჩევლისთვის ისეთი მუხტის მიცემა, რომელსაც ოპოზიცია თავის

სასარგებლოდ გამოიყენებს, თუმცა ამ მომენტისთვის, კამპანია საკმაოდ მდორედ მიდის. გავიხსენოთ, როგორი იყო წინასაარჩევნო კამპანია 2003 წელს, ამომრჩევლის როგორი მობილიზაცია იყო 2012 წელს, მსგავსი მუხტი დღეს არ გვაქვს.

– ოპოზიცია ამბობს, რომ ეს არჩევნები ერთგვარი რეფერენდუმია. ამ განცხადების ფონზე, მის პასიურობას რით ხსნით – ოპოზიციას რესურსი არ აქვს, თუ პოლიტიკურად სხვა გათვლებს აკეთებს?

– ოპოზიცია კი ცდილობს, რომ პროცესი ამ მიმართულებით წაიყვანოს, მაგრამ ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მოქალაქის არჩევანსა და პოლიტიკურ პოზიციაზეა. პოლიტიკურ სპექტრს – ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ამომრჩევლის ცნობიერების წარმართვის პროცესი უჭირს, თუმცა ისეთ პროცესებში, სადაც ძალაუფლება და რესურსია, ხელისუფლება უფრო ეფექტურად მუშაობს და ამომრჩევლის ქცევაც შესაბამისია.

ისე, მართალია, საბჭოთა კავშირის დანგრევიდან ძალიან ბევრი წელი გავიდა, მაგრამ პოლიტიკური მენტალობა, გარკვეულწილად, მაინც პოსტსაბჭოთა რეჟიმშია დარჩენილი. ადამიანები იჭერენ გამარჯვებულის ან პოტენციურად გამარჯვებულის მხარეს და ცდილობენ, რომ საკუთარი ამოცანების რეალიზებისთვის პოლიტიკურ ჯგუფებთან კავშირები შექმნან ანუ წარმატებულისკენ იხრებიან. ამიტომაც აქტივისტური ერთგულება ჩანს და პასიური ამომრჩეველი ადაპტაციის გზას ეძებს, რაც უფრო წარმატებულისკენ სვლას გულისხმობს.

ამიტომ ერთია, რას აცხადებს ოპოზიცია და მეორეა, რა ამოცანა აქვს ამომრჩეველს.

თვითმმართველობის არჩევნები განსხვავებული სპეციფიკისაა. ძირითადად, რეგიონში ვცხოვრობ და ვიცი, რომ თვითმმართველობის არჩევნებისთვის უამრავი თემა და ამოცანაა, რასაც დაბის, ქალაქის მოსახლეობა მოითხოვს და როცა საარჩევნო სუბიექტი მოდის და ზოგად პოლიტიკურ კლიმატზე გელაპარაკება, ხშირად, ამომრჩევლისთვის ეს გაუგებარია. ოპოზიციისთვის ამომრჩეველში გარდატეხის შეტანა მარტივი არაა – სტანდარტული მიდგომები, პროპაგანდა და ექსპერტული შეფასებითი წარმართვა საკმარისი არაა. ადამიანებს სჭირდებათ ალტერნატივა და არა მხოლოდ შეფასება, რაც ასე მარტივი არაა, რადგან ყველა პოლიტიკური ჯგუფი საკმაოდ ამორფულია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პოლიტიკური პარტიაა, ყველაფერი მაინც ტექნიკური პროცესია და არა – შინაგანი, არადა, ამომრჩეველზე ტექნიკური პროცესები ნაკლებად აისახება. ამიტომაც, ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკურ კლიმატს, რომ ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილისა და ოპოზიციის პათოსის თანხვედრა ხდებოდეს.

– არჩილ, რამდენად განვითარდა საარჩევნო კამპანიის წარმართვის ტექნიკა და რამდენად ავუწყვეთ ფეხი, ამ მხრივ, მსოფლიო ტრენდს?

– ერთი მხრივ, რაღაც დეტალები დაიხვეწა – ნაკლებად ვხედავთ ჯგუფურ თავდასხმებს, ქვების სროლას, ძალადობას. დღევანდელი ხელისუფლება მრავალ კონტექსტში ძალადობს, მაგრამ ეს ტექნიკა სხვანაირი გახდა, ცნობიერების მართვაზე ძალადობა უფრო ხდება, ვიდრე – პირდაპირი აგრესია ოპონენტებზე ან ამომრჩეველზე და ეს ნაწილი უფრო „რაფინირდა“.

ამ მხრივ რაღაცები ოპოზიციამაც დახვეწა იმიტომ, რომ კონფლიქტებს არც მისი მხრიდან ვხედავთ, არადა, ვიცით, რომ წინა პერიოდში პოლიტიკური სუბიექტები ცდილობდნენ, აქციები, კონფლიქტები, დაძაბულობა გამოეწვიათ. ახლა ამ პროცესს არ ვხედავთ, ყოველ შემთხვევაში, 6 სექტემბრის მონაცემებით, მოცემულობა ასეთია, პროცესი უფრო მოზომილი და დახვეწილი გახდა.

მეორე მხრივ, თანამედროვე საარჩევნო კამპანიები პოზიტიურ კონტექსტზეა აგებული. არჩევნები პოზიტიურ არსს გულისხმობს, რადგან ადამიანებს შეუძლიათ, რაღაცები სათავისოდ შეცვალონ და ძირითადად, განვითარებულ ქვეყნებში საარჩევნო კამპანიები მხოლოდ კონკურენტების დისკრედიტაციაზე კი არა, არამედ, ალტერნატივების პოზიტიური კლიმატის შექმნაზეა აგებული. ადამიანმა ოპოზიცია უნდა დაინახოს, როგორც მისი უკეთესი მომავლის შემქმნელი პირობა, ოპოზიციამ უნდა შეიტანოს ამომრჩეველში იმედი და პესიმიზმი გააქროს. ჩვენთან ასე არ ხდება, მხოლოდ ნეგატივზე, დისკრედიტაციაზე აგებული პროცესია და ალტერნატივების ორგანიკა არ ჩანს, რაც არა მხოლოდ ტექსტებით დაპირებებს, არამედ, შეგრძნების დონეზე თანხმობასაც გულისხმობს.

მოქალაქის რწმენაზე ზემოქმედების უნარი, ჯერ-ჯერობით, დაბალია და ამიტომ, კვლავ ნეგატივსა და დისკრედიტაციაზეა ორიენტირებული. ამ ნაწილში, ვერც თანამედროვე ტენდენციას ვეწევით და ვერც იმ გარემოს ვქმნით, რაც თანამედროვე ცივილურ არჩევნებს სჭირდება.

რა დარღვევებია აღმოჩენილი სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულთა აღრიცხვასა და დაგეგმვაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

აუდიტის მორიგი სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საჯარო სექტორში დასაქმებულებით დაინტერესდა. უფრო ზუსტად, ესაა ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც 2017-2019 წლებს მოიცავს. ეფექტიანი საჯარო მმართველობის განხორციელება კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანური რესურსებითაა შესაძლებელი. შესაბამისად, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის საკითხები შემდეგი სამი მიმართულებით შეისწავლა: საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების აღრიცხვა; ადამიანური რესურსების დაგეგმვა და დაკომპლექტება შერჩეულ სამინისტროებში; საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებული აქტივობები. როგორც მოსალოდნელი იყო, ხარვეზები სამივე მიმართულებით გამოვლინდა.

ხარვეზები ადამიანური რესურსების აღრიცხვაში

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილ ხარვეზებს გავეცნობით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საჯარო სექტორი, საქართველოში, ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია, რომელიც დაქირავებით დასაქმებულების 34%-ს შეადგენს. საჯარო სექტორის საბიუჯეტო ორგანიზაციებში შტატით დასაქმებულთა შრომის ანაზღურება საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვანი კომპონენტია და 1 784 900 ლარს შეადგენს, რაც ადმინისტრაციული ხარჯების ნახევარზე მეტია. თავის მხრივ, ადმინისტრაციული ხარჯი ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების 32%-ს მოიცავს.

2014 წლიდან, საქართველოს მთავრობამ დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელება, რომლის ერთ-ერთი მიზანი ადამიანური რესურსების მართვის უკეთეს პრაქტიკასთან დაახლოება გახლდათ. რეფორმის ფარგლებში, სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო“ განისაზღვრა წამყვან უწყებად, რომელმაც ამ პერიოდში, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა. კერძოდ, მიღებულ იქნა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, განხორციელდა სამინისტროების ფუნქციური, სტრუქტურული და ინსტიტუციური მოწყობის საკითხების შესწავლა და გადახედვა. მეტიც, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, საქართველოს მთავრობამ, მანამდე არსებული 16 სამინისტრო 11-მდე შეამცირა.

საჯარო სექტორში შემავალი ორგანიზაციები/უწყებები, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მხოლოდ მათ მცირე ნაწილზე, დაახლოებით, 16%-ზე ვრცელდება, რაც საჯარო სექტორში დასაქმებულებს შორის, სტატუსისა და უფლება-მოვალეობების მნიშვნელოვან განსხვავებებს განაპირობებს. ასევე, არაერთგვაროვანია ინფორმაცია საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ. ამ სახის ინფორმაციას საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, სამი, სხვადასხვა უწყება აღრიცხავს: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – „საქსტატი“, საჯარო სამსახურის ბიურო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

„მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთა შესახებ მონაცემებს სხვადასხვა უწყებები აგროვებენ. სამწუხაროდ, არ არსებობს პასუხისმგებელი უწყება, რომელიც საჯარო სექტორში დასაქმებულთა მონაცემებს ერთიანი ფორმით აღრიცხავდა და საჯარო სექტორის შესახებ არსებული მონეცემების სისრულე-სიზუსტეს უზრუნველყოფდა. დათვლის განსხვავებებული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, საჯარო სექტორში დასაქმებულთა შესახებ მონაცემები ფრაგმენტულია და ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხერხდება დასაქმებულთა, როგორც აბსოლუტური რაოდენობის, ისე მათი კატეგორიების (საჯარო სექტორი, სახელმწიფო სამსახური, საჯარო სამსახური) სათანადო სიზუსტით იდენტიფიცირება“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

მეტიც, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ერთიანი სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი უწყებაც არაა განსაზღვრული. არადა, იმის გამო, რომ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს მთავრობის მხრიდან ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორებიცაა საჯარო დაწესებულებების გაერთიანება, ოპტიმიზაცია ან/და ლიკვიდაცია.

ხარვეზები ადამიანური რესურსების დაგეგმვაში

აუდიტის ფარგლებში, სხვადასხვა ინდიკატორიც შეფასდა, რომლებიც ადამიანური რესურსების დაგეგმვისა და დაკომპლექტების მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე მიუთითებს. სახელმწიფო აუდიტორების მიერ შერჩეულ სამინისტროებში (კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში) მაღალია კადრების გადინება (შესაბამისად, 28% და 20%), რასაც შეუვსებელი ვაკანტური პოზიციების ხანგრძლივი დროით არსებობა ემატება.

„უკეთესი პრაქტიკის მიხედვით, სამუშაო ძალის საშუალოვადიანი დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ოთხ ეტაპად – ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებისადმი სამუშაო ძალის მისადაგების მიზნით. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული პროცესი სამინისტროებში სისტემატიზებული და სათანადოდ ფორმალიზებული არ არის. უფრო ზუსტად, ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია არ მომზადებულა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წყარო უნდა იყოს ადამიანური რესურსების მართვის (HR) ერთეულისთვის, სამუშაო ძალის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მისი რაოდენობისა და უნარ-ჩვევების განსაზღვრის თვალსაზრისით. ამასთან, HR ერთეულებს არ აქვთ განსაზღვრული საკუთარი სტრატეგია. იმის გამო, რომ HR სტრატეგია არ არსებობს, ცხადია, ხელს არ უწყობს ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესში არსებული მიზნებისა და გამოწვევების დოკუმენტირებული სახით არსებობას და მათი შეფასების ძირითადი ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებლების განსაზღვრას“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ ადამიანური რესურსების საჭიროებების დაფარვის ღონისძიებები – კონკურსები, თანამშრომელთა განვითარება, მათი სტაჟირება და ტრენინგები, ერთობლიობაში, სამინისტროების წინაშე მდგომი გამოწვევების დაძლევას ვერ უზრუნველყოფს. მეტიც, სამინისტროები ვერ უწევენ კონკურენციას კერძო სექტორს მოთხოვნადი/დეფიციტური პროფესიების მქონე ადამიანური რესურსებით ორგანიზაციის დაკომპლექტებისას; გამოცხადებული კონკურსების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ჩაშლილი და შეწყვეტილი კონკურსების მაღალი რაოდენობა.

საჯარო სამსახურის ბიუროს აქტივობები

საჯარო სამსახურის ბიუროს ვალდებულებაა, მთავრობას წარუდგინოს საჯარო სამსახურში არსებული მდგომარეობის ანალიზი. სახელმწიფო აუდიტორებმა ბიუროს მიერ წარდგენილი საქმიანობის წლიური ანგარიშები დეტალურად შეისწავლეს და გაარკვიეს, რომ იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების შესახებ, ბიუროს მთავრობასთან კომუნიკაცია არ ჰქონია და არც ამ ნაკლოვანებების გადაჭრის გზები მოუძებნია. აუდიტორების მტკიცებით, საჯარო სამსახურის ბიუროს ეს საკითხები მთავრობის დონეზე რომ წამოეჭრა და მათი განხორციელების ხელშეწყობაზე ეზრუნა, მეტ მოტივაციას გააჩენდა სამინისტროებისთვის გაცემული რეკომენდაციების გამოსაყენებლად.

„2014 წლიდან, საჯარო სამსახურის ბიუროს დაევალა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის განხორციელების პროცესის კოორდინაცია, რომლის მასშტაბიც საკმაოდ ფართოა და საჯარო მმართველობის მრავალ ასპექტს მოიცავს. შესაბამისად, აუდიტის პერიოდში, ბიუროს საქმიანობის დღის წესრიგი მნიშვნელოვნად გამომდინარეობდა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციით განსაზღვრული მიმართულებებიდან. ბიუროს დღის წესრიგი, HR ერთეულების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით, ადამიანური რესურსების სტრატეგიულ დაგეგმვას არ მოიცავდა, რაც ადამიანური რესურსების მართვის მოდელის მიხედვით, ერთ-ერთ საწყის საფეხურს წარმოადგენს. საჯარო სამსახურის ბიურომ სამუშაო ძალის დაგეგმვისა და ინსტუტუციური მოწყობის შესახებ აქტივობები პირველად, მხოლოდ 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრა“.

ეს სტატია ყველამ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ – რას გულისხმობს პრემიერის ახალი ინიციატივა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო. სექტემბრიდან, მრავალშვილიანი ან ისეთი ოჯახების საცხოვრებელი პირობები უნდა გაუმჯობესდეს, რომლებსაც ახალშეძენილი შვილი ან შვილები ჰყავთ. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ეს ძალიან კარგი პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება, როგორც ბინის, ასევე, კერძო სახლის შეძენა. მთავრობის მეთაურის ინიციატივით, ახალი პროგრამა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა. მრავალშვილიანი ან ახალშეძენილი შვილების მქონე ოჯახებისთვის სესხის სუბსიდირება სექტემბრიდან დაიწყო.

ვის შეეხება სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამა

სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ან ახალ-შეძენილი შვილების მქონე ოჯახებისთვის, სესხის ოდენობა 200 000 ლარამდე განისაზღვრა. ამ სესხის სახელმწიფო თანადაფინანსება 5 წლის განმავლობაში განხორციელდება. რაც მთავარია, ახალშეძენილი შვილის მქონე ოჯახებისთვის სახელმწიფო სესხის პროცენტის ნახევარს, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახებისთვის – 2/3-ს დაასუბსიდირებს.

როგორც ცნობილია, იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამა მრავალშვილიანი ან ახალშეძენილი შვილების მქონე ოჯახებისთვის უკვე კარგად ცნობილი სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნათია თურნავას განცხადებით, ბოლო წლებში, „აწარმოე საქართველოში“, ძალიან მძლავრ ბერკეტად იქცა, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე, მოსახლეობის დახმარების თვალსაზრისით და ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ სწორედ ამ პროგრამას ემატება ახალ-ახალი კომპონენტები და ქვეპროგრამები:

„პირველი ქვეპროგრამა სუბსიდირებული იპოთეკური სესხებია, რომელიც ვრცელდება თითოეულ ოჯახზე. მთავარი პირობაა, რომ 1 სექტემბრის შემდეგ, ამ ოჯახებს ჰყავდეთ ახალშობილი. ასეთ ოჯახს, ბავშვის ყოლის მომენტიდან 12 თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს ბანკს, აიღოს იპოთეკური სესხი და შეიძინოს ახალი საცხოვრებელი სახლი. 200 000 ლარის ოდენობის სესხს სახელმწიფო 5 წლის მანძილზე დაასუბსიდირებს. იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც შეეძინებათ შვილი, თანადაფინანსება თითქმის ნახევარი იქნება, ხოლო იმ ოჯახებს, სადაც მესამე, მეოთხე ან ყოველი მომდევნო შვილი გაჩნდება, სახელმწიფო თანადაფინანსება გაცილებით მეტი იქნება“, – განმარტა ნათია თურნავამ.

დავუშვათ, იპოთეკურ სესხს 12%-ში იღებთ, თუ თქვენ ახალშობილი გყავთ, მაგრამ ჯერ მრავალშვილიანი არ ხართ ანუ 1 სექტემბრის შემდეგ, პირველი ან მეორე შვილი გყავთ ოჯახში, ამ 12%-დან, სახელმწიფო 5 წლის მანძილზე, 6%-ს დაგისუბსიდირებთ. იმ შემთხვევაში, თუ 1 სექტემბრის შემდეგ, მესამე, მეოთხე ან ყოველი მომდევნო შვილი შეგეძინათ, ამ 12%-დან სახელმწიფო 2/3-ს ანუ თითქმის 8%-ს დაგისუბსიდირებთ, რაც ნიშნავს, რომ იპოთეკურ სესხს 4%-ში აიღებთ, რათა საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესოთ. ცხადია, სახელმწიფო თანადაფინანსება მრავალშვილიანი ოჯახებისთვისაც 5 წლის მანძილზე განხორციელდება.

„იმედი გვაქვს, რომ პრემიერის ინიცირებული ეს სახელმწიფო პროგრამა ხელს შეუწყობს ჩვენი ოჯახების კეთილდღეობასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. მეტიც, თითოეულ ასეთ ოჯახში ახალმოვლენილი წევრი იქნება არა მხოლოდ სიხარულის, არამედ, პრაქტიკული სიკეთეების მომტანიც“, – დასძინა ნათია თურნავამ.

რა თქმა უნდა, ყოველი ახალშეძინილი ბავშვის გამო, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ნებისმიერი ოჯახისთვის შესანიშნავი გადაწყვეტილებაა, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება. თუ პირობების გაუმჯობესებაში ოჯახებს სახელმწიფო ეხმარება, ცხადია, ჰუმანური და კეთილშობილური ჟესტია, მაგრამ სინამდვილეში, ყველაფერი არც ისე მარტივადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

დავიწყოთ იმით, რომ ვინაიდან იპოთეკური სესხის სუბსიდირების პროგრამა სახელმწიფოა, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად, სესხს მხოლოდ ლარში იღებთ. ნებისმიერ კომერციულ ბანკში კი, იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში გაცილებით მაღალია, ვიდრე ამერიკულ დოლარსა და ევროში. მოკლედ, საქართველოს საშუალო სტატისტიკური მოქალაქე, რომელსაც იპოთეკური სესხის აღება სურს, ამ სესხს ძირითადად, დოლარში (შედარებით ნაკლებად, ევროში) იღებს. რაც მთავარია, თუ ოჯახს სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა სურს, ბანკში ყოველთვიური შემოსავალიც უნდა დაადასტუროს. მოკლედ, თუ წყვილი თვითდასაქმებულია, ამ სესხის აღების შანსი, პრაქტიკულად, ნულია.

ნუ დაიბნევით, თუ არ მუშაობთ და ხელფასი არ გაქვთ, მეათე შვილიც რომ შეგეძინოთ, რის გამოც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება წყალივით და ჰაერივით გჭირდებათ, ამ სახელმწიფო პროგრამით ვერ ისარგებლებთ! არადა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოში, სწორედ ასეთი ოჯახებისთვისაა ზედგამოჭრილი, თორემ რა გამოდის, პრემიერ-მინისტრი ეხმარება მათ, რომლებსაც ასეთი დახმარება დიდად არ სჭირდებათ. რა თქმა უნდა, როდესაც ადამიანი საკმაოდ კარგ სამსახურში მუშაობს, კარგ ანაზღაურებას იღებს, მერე ოჯახსაც ქმნის (ან უკვე შექმნილი აქვს) და შვილიც შეეძინება (ან უკვე ერთი, თუნდაც ორი ჰყავს), იპოთეკური სესხის თანადაფინანსება მისთვისაც შესანიშნავი საჩუქარია, ოღონდ არც ისე აუცილებელი...

ერთ-ერთი კომერციული ბანკის მაგალითზე, დეტალურად აგიხსნით პირობებს, როგორ უნდა ჩაერთოთ ამ სახელმწიფო პროგრამაში ანუ როგორ უნდა აიღოთ იპოთეკური სესხი, თუ თქვენ 1 სექტემბრის შემდეგ, ოჯახში ახალშობილი გყავთ.

ვის ეხება სუბსიდირების პროგრამა? – ოჯახს/მარტოხელა მშობელს/ქვრივს, რომლებსაც 2021 წლის 1 სექტემბრის შემდეგ დაბადებული, 1 წლამდე ასაკის შვილი ჰყავთ; ოჯახს/მარტოხელა მშობელს/ქვრივს, თუ სესხის აღების მომენტში ჰყავს 3 ან მეტი არასრულწლოვანი შვილი; ოჯახს/მარტოხელა მშობელს/ქვრივს, რომელსაც სესხის აღების მომენტში ჰყავს 2021 წლის 1 სექტემბრის შემდეგ შვილად აყვანილი არასრულწლოვანი პირი.

რამდენჯერ შემიძლია ვისარგებლო ამ პროგრამით? – პროგრამით სარგებლობა შესაძლებელია ერთჯერადად, დაშვებული ლიმიტის – 200 000 ლარის ფარგლებში.

თანადაფინანსების პირობები – რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3.5%, მაგრამ არაუმეტეს 6%-ის ოდენობით, თუ მსესხებელს ჰყავს 1 ან 2 შვილი; რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 1.5%, მაგრამ არა უმეტეს 8%-ის ოდენობით, თუ მსესხებელს 3 ან მეტი შვილი ჰყავს. თუ კლიენტი მრავალშვილიანია და დაუმტკიცდა იპოთეკური სესხი ლარში, პირობითად, 13%-ში, მიმდინარე რეფინანსირების განაკვეთის გათვალისწინებით, სააგენტო კლიენტს დაუფინანსებს 8%-ს. კლიენტის გადასახადი კი იქნება 5% ანუ 13%-ს გამოკლებული 8%.

რა დოკუმენტებია საჭირო? – სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; სამოქალაქო ქორწინებში მყოფმა პირებმა უნდა წარადგინონ სამოქალაქო ქორწინების მოწმობა; ცნობა სესხის აღების მომენტისათვის განქორწინების ფაქტის რეგისტრაციის არარსებობის თაობაზე; მარტოხელა მშობელმა, რომელიც არ ნიშნავს განქორწინებულს, უნდა წარადგინოს მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი; ქვრივმა უნდა წარადგინოს სამოქალაქო ქორწინების მოწმობა, ასევე, მეუღლის გარდაცვალების მოწმობა და შვილების შესახებ ინფორმაცია – ბავშვების დაბადების მოწმობა/ები.

შვილად აყვანის შემთხვევაში, უნდა წარადგინოთ შვილად აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი; გერის შემთხვევაში, სტატუსის დადგენა ხდება დაბადების მოწმობიდან. შესაძლოა, ბანკმა სხვა დოკუმენტაციაც მოითხოვოს.

მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია – შესაძენი/ასაშენებელი უძრავი ქონება სუბსიდირების მანძილზე უნდა იყოს იპოთეკით დატვირთული ბანკის სასარგებლოდ; აღნიშნულ სესხებზე დაუშვებელია საშეღავათო პერიოდი/პროცენტის გადანაწილება; პროგრამით სარგებლობისთვის აუცილებელია, რომ სესხზე განაცხადის შევსების მომენტში, მშობლები სამოქალაქო ქორწინებაში იყვნენ (სესხის აღება შეუძლია მხოლოდ ერთ მშობელს, ოჯახის სხვა წევრთან ერთად, ბანკის სტანდარტის შესაბამისად).

რას იწვევს გლუტენის სიჭარბე

თუ დააკვირდებით, ეტიკეტზე უკვე მრავალ პროდუქტს აწერია – „უგლუტენო“. გლუტენი ცილაა, რომელსაც შეიცავს თესლეული – ხორბალი, ჭვავი და ქერი.

ბევრ ადამიანზე გლუტენი გავლენას არ ახდენს, ბევრს კი, პურ-ფუნთუშეულისა და გლუტენის შემცველი სხვა პროდუქტების მიღებისას არასასიამოვნო სიმპტომები ეწყება. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი მაინც განაგრძობს მათ მიღებას და არც კი იცის, მათზე უარი რატომ უნდა თქვას. არადა, ამ ცილასთან დაკავშირებული 55 დაავადებაა. აქამდე, მკვეთრად გამოხატული სიმპტომების უქონლობისა და არასაკმარისი ინფორმაციის გამო, ამ დაავადებების დიაგნოსტიკა ძალიან რთული იყო. მოკლედ, რატომ უნდა გამოვრიცხოთ გლუტენი რაციონიდან?

1. კუჭ-ნაწლავის მოშლილობა გლუტენის გადაუტანლობის ყველაზე გავრცელებული სიმპტომია, რა დროსაც ხშირია მუცლის შებერვა; დიარეა; მეტეორიზმი; მუცლის ტკივილი; ყაბზობა; ე. წ. გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად რაციონიდან გამორიცხეთ გლუტენის შემცველი ყველა პროდუქტი.

2. დაქანცულობა – ხორბლის ან გლუტენის შემცველი სხვა თესლეულის საკვებად გამოყენების შემდეგ, ზოგი დაქანცულობას გრძნობს და კონცენტრირება აღარ შეუძლია. მუდმივი დაქანცულობისა და სისუსტის შეგრძნება შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ საჭიროა რაციონის შეცვლა.

3. თავის ტკივილი – ამ ცილის მუდმივად გამოყენება ორგანიზმში ანთებითი პროცესების პროვოცირებას ახდენს და ნეგატიურად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ამის შედეგად წარმოიშვება რეაქციების ჯაჭვი, რომელთა შორისაა შაკიკისა და თავის ტკივილის მუდმივი შეტევა.

4. ჰორმონალური დისბალანსი – საკვერცხეების პოლიკისტოზი, მენსტრუაციის წინა სინდრომი და თვით უნაყოფობაც კი შეიძლება, გლუტენის გადაუტანლობასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ ზოგიერთი ექიმი-გინეკოლოგი თავის პაციენტებს ურჩევს, რომ გლუტენის შემცველ პროდუქტებზე უარი თქვან.

5. სახსრების დაავადება – როგორც აღვნიშნეთ, გლუტენი ორგანიზმში ანთებითი პროცესების პროვოცირებას ახდენს და არასასურველ გვერდით ეფექტებს იწვევს, მათ შორის, მან შეიძლება, სახსრების შესიება და დაავადება გამოიწვიოს. განსაკუთრებით მოწყვლადია ხელის მტევანი და მუხლები.

6. ფოლიკულარული კერატოზი კანის დაავადებაა, რომელიც მკვრივი წითელი გასქელებით ხასიათდება. ეს ძირითადად დაკავშირებულია ა ვიტამინისა და შეუცვლელი ცხიმმჟავების ცუდი ამთვისებლობით, რაც შესაძლოა, გლუტენის ხანგრძლივი ზემოქმედებით იყოს გამოწვეული.

7. ფიბრომიალგია დაკავშირებულია კუნთებისა და სახსრების გაუხეშებასა და ქრონიკულ ტკივილთან. სხვა დაავადებებისგან განსხვავებით, ეს ავადმყოფობა უცნობი წარმოშობის ტკივილით ხასიათდება. მართალია, ეს დაავადება მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული, მაგრამ ითვლება, რომ გლუტენზე უარის თქმა არასასიამოვნო სიმპტომების კონტროლის საშუალებას იძლევა.

8. ნევროლოგიური სიმპტომები – გლუტენი აღიზიანებს ნერვულ სისტემას და ასუსტებს იმუნიტეტს, ასევე, იწვევს ნევროლოგიურ სიმპტომებს – თავბრუსხვევასა და ენის ჩავარდნა-დამუნჯებას.

9. აუტოიმუნური დაავადება – ადამიანებს, რომლებიც გლუტენის მაღალი შემცველობის პროდუქტებს იღებენ, უფრო მეტად უვითარდებათ აუტოიმუნური დაავადებები, ვიდრე – მათ, ვინც გლუტენს, პრაქტიკულად, არ ჭამს. ეს ცილა აპროვოცირებს ანთებით პროცესებს და იწვევს ისეთ მძიმე მოშლილობას, როგორიცაა, მაგალითად: ფსორიაზი, წყლულოვანი კოლიტი, სკლეროდერმია, მგლურა, რევმატოიდური ართრიტი, სკლეროზი, თირეოიდიტი ხაშიმოტო.

10. ქცევითი მოშლილობები – ფსიქოლოგიური პრობლემები ხშირად ნაკლებსერიოზულია, როცა პაციენტები თავიანთი რაციონიდან გლუტენის შემცველ პროდუქტებს სრულად გამორიცხავენ. ასეთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური მოშლილობებია: მოუსვენრობა, დეპრესია, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, სტრესი, გაღიზიანება.

გლუტენის გადაუტანლობის სიმპტომები შეიძლება, ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, ამიტომაც, მათი სხვა მოშლილობებში არევა ადვილია. მაგალითად, ცელიაკიანი პაციენტების ზუსტი დიაგნოზის მისაღებად, მთელი 6-10 წელია საჭირო.

ყველაზე საშიში პროფესიული დაავადებები

ექიმთა მონაცემებით, საშიში პროფესიული დაავადებები ყველაზე ხშირად მედდებსა და სპორტსმენებს ემართებათ. ყველაზე ტრავმული პროფესია კი, თურმე, დალაქობაა, რაც მთელი დღე მოუხერხებელ პოზებში ფეხზე დგომით, ცხელ წყალთან, ბასრ ხელსაწყოებთან, ელექტრომოწყობილობებთან მუდმივი კონტაქტითაა გამოწვეული.

ნიუ იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის შეფასებით, ყოველი მეხუთე პარიკმახერი, რომელიც მუდმივი ავადმყოფობითაა შეწუხებული, სამუშაოს თავის დანებების გადაწყვეტილებას იღებს. ყველაზე გავრცელებული ჩივილებია: ტკივილი ზურგის არეში (30%), იდაყვებში (25%), თავის ტკივილი (23), ფრჩხილების მდგომარეობის გაუარესება (20), მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც ქიმიურ პრეპარატებთან მუდმივი კონტაქტია: სალონებში გამოსაყენებელ თითქმის 5000-მდე სხვადასხვა ნივთიერებასთან მრავალსაათიანი შეხებით პარიკმახერებს არა მხოლოდ კონტაქტური დერმატიტის და კანის სხვა ძნელად განსაკურნი, არამედ, სასუნთქი სისტემის მძიმე დაავადებებიც უჩნდებათ.

საერთოდ, მედდის პროფესია, ასე ვთქვათ, მსუბუქად არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ამ პროფესიის წარმომადგენლებს გულის იშემიური დაავადება და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი კლავთ.

დიუსელდორფის უნივერსიტეტის მედიცინის სოციოლოგიის პროფესორის, იოჰანეს ზიგრისტის შეფასებით, მედდის პროფესია, სტრესის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე არაკეთილსაიმედოა. მაღალი პასუხისმგებლობა, შეზღუდული უფლებამოსილება და ამის გამო მედდებზე პაციენტების უკმაყოფილება, ექიმების მხრიდან ხშირი უპატივცემლობა, მძიმე სამუშაო და დაბალი ხელფასი, ნაკლები პროფესიული პერსპექტივა – ყოველივე ეს მუდმივ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევს. სტრესის დროს სისხლში ადრენალინი გადმოიტყორცნება და წნევა მკვეთრად მაღლდება. თუ ეს რეგულარულად ხდება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი თანდათან მატულობს.

პრინსტონის უნივერსიტეტის მეცნიერთა შეფასებით, მხატვრობაში გამოყენებულ 20-ზე მეტ პიგმენტს გამოხატული ტოქსიური, ან კანცეროგენული მოქმედება აქვს. მოწამვლის სიმპტომები შეიძლება, ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს.

ტყვიის პიგმენტების მუდმივი შესუნთქვა ანემიას, თირკმლების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნერვული სისტემის დაზიანებას იწვევს. კადმიუმის პიგმენტები ფილტვების კიბოს განვითარების რისკს ზრდის. ქრომთან კონტაქტს ადამიანი წყლულამდე და კანის ალერგიულ დაავადებებამდე მიჰყავს. მურის პიგმენტები კიდევ უფრო საშიშია კანისთვის – რეგულარული ზემოქმედებით კიბოს გამოწვევა შეუძლია.

ტყვიის სურინჯის, იისფერი კობალტის და ყვითელი კადმიუმის კობალტის მსგავსი ბუნებრივი საღებავები ბევრად უფრო საშიშია თანამედროვე სინთეტურ საღებავებზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, მასობრივი წარმოების წინ უსაფრთხოების მინიმალურ შემოწმებას მაინც გადიან.

სპორტსმენები, ტრავმების რაოდენობის მიხედვით, ბევრ სხვა პროფესიის წარმომადგენლებს უსწრებენ, მაგრამ მედლებისკენ სწრაფვა მოსალოდნელ საფრთხეებს ჯაბნის. მაგალითად, სპორტის ზოგიერთი სახეობა სხეულის მარჯვენა და მარცხენა ნახევრების კუნთების არათანაბარ განვითარებას იწვევს. კუნთების ასიმეტრია განსაკუთრებით დამახასიათებელია ფეხბურთელებისთვის. სპეციალისტები თვლიან, რომ ის ტრავმებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების რისკს ზრდის.

მეორე უბედურება კბილების ემალის დაშლაა, რაც სპორტული სასმელებითაა გამოწვეული. მათში ბევრია ისეთი მჟავები, რომელიც ნელ-ნელა აღწევს ემალში, რაც, თავის მხრივ, კბილების მგრძნობელობას ამაღლებს და კარიესის რისკს ზრდის.

სამართალი

№32 8 სექტემბერი 2021 წ

საბჭოთა გენიოსი, რომელიც კომუნისტებმა დახვრიტეს

ბათო ჯაფარიძე

მეცნიერების მხრივ, საბჭოთა კავშირი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე იყო. 15 რესპუბლიკას შორის კი, მოსახლეობის პროცენტულობის მიხედვით, ყველაზე მეტი პროფესორი, აკადემიკოსი თუ მეცნიერი საქართველოს ჰყავდა. საბჭოთა კავშირში იბადებოდნენ ნამდვილი გენიოსები, რომლებსაც თუ სრულად სახელმწიფოსთვის არ იღწვოდნენ, უბრალოდ, აქრობდნენ, აპატიმრებდნენ, კლავდნენ. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, საშინელი ფინალი აქვს. მას დიდი ხნის განმავლობაში გრიფი – „საიდუმლო“ ედო და დღესაც კი ამ საქმის ყველა დეტალი გაუხმაურებელია. ისტორია, ერთი შეხედვით, ძალიან ბანალურად, ჩვენს დედაქალაქში დაიწყო.

სპეცოპერაცია „თხევადი ოქრო“, რომლის დეტალებსაც, „კა-გე-ბე“-ს მსგავსად, რუსეთის დღევანდელი უშიშროებაც მალავს

სამართალდამცავები ტიპური „ხრუშჩოვკის“ მაცხოვრებლებმა მას შემდეგ გამოიძახეს, რაც ერთოთახიან ბინაში, პენსიონერი მასწავლებელი გარდაცვლილი იპოვეს, თუმცა გარდაცვლილი რბილად ნათქვამია – მოხუცი ქალის ნაწამები სხეულის ნახვისას ბევრის შემსწრე ექსპერტებიც კი დაიბნენ. მეზობლების დაკითხვის შემდეგ გაირკვა – დილით მისი სახლიდან მეზობელი გამოვიდა, კაცი, რომელსაც ნაგვის ორი ცელოფანი ეჭირა. ეს მეზობელი მილიციისთვის კარგად ნაცნობი იყო – ყაჩაღობასა და მკვლელობის მცდელობაზე სამჯერ ნასამართლევი რეციდივისტი. მას შინ ააკითხეს და ისიც მშვიდად მოჰყვა, როგორ აპირებდა ნაგვის გადაყრას, როგორ სთხოვა მეზობელმა, ჩემი ნაგავიც გაიყოლეო, უკან დაბრუნებულს კი ჩაის დალევა შესთავაზა, რაზეც დათანხმდა. ჩაის შემდეგ, შინ აბრუნდა და მეტი არაფერი იცოდა. სამართალდამცავებმა ბინა გაჩხრიკეს და ნიკოლოზ მეორისდროინდელი ოქროს მონეტა – „იმპერიალი“ იპოვეს. მასზე, როგორც ეჭვმიტანილის, ისე მოკლული მასწავლებლის თითის ანაბეჭდები იყო. ამის შემდეგ რეციდივისტმა ნამდვილი ისტორია მოჰყვა. პრინციპში, ყველაფერი სიმართლე იყო, გარდა ერთისა – როცა ჩაის სვამდნენ, ქალმა ლამაზი ჭიქები გადმოიღო, საიდანაც ეს მონეტა გადმოვარდა. გაქნილმა დამნაშავემ იფიქრა, რომ მოხუც პენსიონერს კიდევ ექნებოდა მონეტები და მისი დაყაჩაღება გადაწყვიტა, თუმცა წამების დროს შემოაკვდა და ამ ერთი მონეტისა და დაახლოებით, 80 მანეთის გარდა, ვერფერი იპოვა. ამ საქმისთვის წერტილის დასმა შეიძლებოდა, თუმცა ექსპერტებმა ნაპოვნი მონეტის შესწავლა დაიწყეს, რომ გაერკვიათ, კონკრეტულად რომელი წლის იყო და მუზეუმისთვის გადაეცათ.

„მონეტა, მაქსიმუმ, ერთი თვის წინ არის დამზადებული. ის შეიცავს უმაღლესი სინჯის ოქროს 75%-ს, დანარჩენი კი შედარებით დაბალი სინჯია. მონეტა ყალბია, თუმცა უმაღლეს დონეზეა შესრულებული“, – ასეთი იყო ექსპერტების დასკვნა.

როცა ოქროს გაყალბების ფაქტები ვლინდებოდა, საქმეში აუცილებლად ერთვებოდნენ უშიშროების კომიტეტის წევრები. ასე იყო ამჯერადაც. საქმე უშიშროების კომიტეტმა წაიღო და პენსიონერის წარსულის შესწავლა დაიწყეს. ქალს მთელი ცხოვრება მოსკოვში, ერთ-ერთი სკოლის ქიმიის მასწავლებლად ჰქონდა ნამუშევარი, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი საქართველოში წამოვიდა, რადგან დედა ქართველი ჰყავდა და ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში გაყიდული ბინის მთელი თანხა საპენსიო ბარათზე ედო. თავს ბევრის უფლებას არ აძლევდა, ერთი მეზობელიც ვერ იხსენებდა, რომ გარდაცვლილს თავი ან დელიკატური საკვებით, ან განსაკუთრებული ტანისამოსით გაენებივრებინა.

დაიწყეს იმ მოსწავლეთა ძებნა, რომლებმაც ამ ქალის ხელში გაიარეს და რომლებსაც ქიმიური ცდების შედეგად, შეეძლოთ ოქრო მიეღოთ. ასეთი არავინ აღმოჩნდა. იყვნენ კარგი მოსწავლეები, მაგრამ ქიმიურ საამქროებთან შეხება არცერთს ჰქონდა და რაც მთავარია, უშიშროების ექსპერტები ამტკიცებდნენ, ლაბორატორიის გარეშე, ამ ოქროს მიღება შეუძლებელიაო. როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, შავ ბაზარზე „იმპერიალების“ ძებნა დაიწყეს. უშიშროება ყალბ მონეტებს ეძებდა, რათა კვალზე გასულიყო. 11 ასეთი მონეტა ორ კვირაში მოიძებნა, თუმცა კვალს კარგავდნენ – ვიღაცას ბანქოში ჰქონდა მოგებული, ვიღაცას კი, პირდაპირ, ქუჩაში ჰქონდა ნაყიდი. არადა, უშიშროების კომიტეტის წევრებს რაც არ ეშლებოდათ, ეს დაკითხვა იყო და ამიტომ, დაკავებულთა ჩვენებებში ეჭვი არ ეპარებოდათ.

„დეტალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ოქრო ე.წ. თხევადი ოქროსგან იყო მიღებული. ჯერჯერობით, მეცნიერება ამ მეთოდს არ იცნობს, წარმოუდგენელიც კი გვგგონია თხევადი ოქროსგან ასეთი მაღალი ხარისხის მეტალის მიღება, მაგრამ ფაქტია, თხევადი ოქრო არცთუ მცირე დოზითაა გამოყენებული“, – ეს დასკვნაც უშიშროების ექსპერტებისაა.

რა არის თხევადი ოქრო? – მას ფაიფურის მწარმოებელი ქარხნები იყენებდნენ და ახლაც იყენებენ. თხევადი ოქროთი ხატავენ თეფშებს, ჭიქებს, ლარნაკებს... რაც უფრო მაღალი ხარისხისაა ფაიფური, მით მაღალი ხარისხისაა თხევადი ოქროც. ქარხნებში მას თითქმის უკონტროლოდ იყენებდნენ, რადგან ყველამ იცოდა – მისგან მყარი ოქროს მიღება გამორიცხული იყო. უშიშროების კომიტეტმა თხევად ოქროზე კონტროლი დააწესა ანუ დაინტერესდა, იყო თუ არ შემთხვევები, როცა ვინმეს თხევადი ოქრო რეგულარულად მიჰქონდა. გაირკვა, რომ ერთ-ერთი ქარხნის თანამშრომელ ქალს, კვირაში ერთხელ, 2-2 ბოთლი თხევადი ოქრო გაჰქონდა და როგორც ამბობდა, მისი სიმყარის გამო, სოფლის სახლში... ღობეს ღებავდა. ეს იმთავითვე ტყუილი იყო, რადგან თხევადი ოქროს შემადგენლობა ისეთია, რომ მყარად მხოლოდ ფაიფურის ნივთებზე ჩერდება და ამასთან, სიმყარისთვის, მას აუცილებლად ემატება რამდენიმე დანამატი, რაც ხელმისაწვდომი მხოლოდ ქარხანაში იყო.

ერთ-ერთი გატანის დროს, ქალი პირდაპირ ქარხნის გასასვლელში დააკავეს და უშიშროების კომიტეტში წაიყვანეს. არ დაუმალავს, რომ თითო ბოთლს 300 მანეთად (იმ დროისთვის ინჟინრის ორი თვის ხელფასზე მეტი) მეზობელზე, ვინმე რავილ ნევმიატოვზე ჰყიდდა და ამას თითქმის ერთი წლის განმავლობაში აკეთებდა.

ვინ იყო რავილ ნევმიატოვი? – ის ერთ-ერთ საწარმოში რიგით ლაბორანტად მუშაობდა. თანამშრომლები ამბობდნენ, რომ მას ფინანსურად ძალიან უჭირდა, ხელფასიდან ხელფასამდე 5 და 10 მანეთს ხშირად სესხულობდა, ცოლი და ორი შვილი ჰყავდა და მათი რჩენა უჭირდა. მეგობრობით კი მხოლოდ იური ნიჩაევთან, პროფესიით მხატვართან მეგობრობდა. აი, ნიჩაევის გვარმა სამართალდამცავები დააინტერესა – თაღლითობისთვის ორჯერ ნასამართლევი იური მარტო ცხოვრობდა, არ მუშაობდა, თუმცა მეზობლების თქმით, არ შიმშილობდა და მართალია, ბევრი ფული არ ჰქონდა, მაგრამ გაჭირვებულიც არ ეთქმოდა. უშიშროებამ ნიჩაევი და ნევმიატოვი ერთდროულად აიყვანა და ორივეს ბინაში ჩხრეკა ერთდროულად ჩატარდა. ნიჩაევის სახლში 20 მონეტა აღმოჩნდა, ნევმიატოვის ბინაში კი მცირე ლაბორატორიაც...

„ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 1320 ოქროს მონეტა, 7 კილოგრამამდე ოქროს ნაკეთობა, 3 კილოგრამამდე ოქროს „ჯართი“, – ეს არის ამონარიდი ჩხრეკის ორდერიდან.

იმ დროისთვის ნიჩაევი 34 წლის იყო, ნევმიატოვი – 32-ის. ამ უკანასკნელმა თქვა, რომ 8 წელი ცდილობდა თხევადი ოქროდან მყარი მეტალი მიეღო და ამას მიაღწია კიდეც. თხევად ოქროს მეზობლისგან ყიდულობდა, მონეტების დასამზადებელი დანადგარი ნიჩაევმა დახატა და შექმნა. მას ხატვის საოცარი უნარი ჰქონდა და მონეტების გარდა, ზედმიწევნით იმეორებდა იმ ნაკეთობების ყალიბებსაც, რომლებიც საიუველირო მაღაზიებში ქარხნის შტამითა და ბეჭდით იყიდებოდა. უშიშროების ექსპერტებს თხევადი ოქროსგან მყარი ოქროს მიღების პროცესი ნევმიატოვმა აჩვენა და ვიდეოფირზე გადაღების შესაძლებლობაც მისცა. პროცესი 14 საათს გაგრძელდა და წარმატებით დასრულდა. ეს იყო გენიოსის უდიდესი შეცდომა, რადგან უშიშროებას ის, უბრალოდ, აღარ სჭირდებოდა, თუმცა მის ქმედებაში არ იყო მუხლი, რომელიც დახვრეტის შესაძლებლობას მისცემდა.

რას აკეთებდა ნევმიატოვი? – ყიდულობდა მოპარულ თხევად ოქროს და ამზადებდა ოქროს ნაკეთობებს. უშიშროებამ საჭირო კვალიფიკაცია მაინც იპოვა – ოქროს ნაკეთობების დიდი ოდენობით დამზადება, სახელმწიფოსთვის დიდი ოდენობით ოქროს მოპარვა... სასამართლო, რომელიც დახურულ რეჟიმში ჩატარდა, სულ რაღაც 3 დღეს გაგრძელდა. იური ნიჩაევსა და რავილ ნევმიატოვს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯეს.

საინტერესოა, რომ დღესაც, თხევადი ოქროსგან მყარი ოქროს მიღება ოფიციალურად არ შეიძლება ანუ ამბობენ, რომ ვერცერთი მეცნიერი ამ პროცესს ვერ ახორციელებს. ამავდროულად, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ აღნიშნულ პროცესს წარმატებით გაართვა თავი რავილ ნევმიატოვმა. საინტერესოა, რომ მისთვის ნობელის პრემიის გადაცემაც სურდათ (სიკვდილის შემდეგ), თუმცა ამჯერად, უკვე რუსულმა უშიშროებამ განაცხადა, რომ თხევადი ოქროდან მყარი ოქროს მიღების დოკუმენტაცია ერთ-ერთი ხანძრის დროს დაიწვა და აღარ არსებობს. არადა, ინტერნეტში რამდენიმეწამიანი კადრები იძებნება, სადაც ნევმიატოვი სწორედ მაშინ არის გადაღებული, როცა უშიშროების ექსპერტებს პროცესს უხსნის და თხევადი ოქროდან მყარ მეტალს იღებს.

მეგობრის შურისძიება – როგორ დაიგეგმა ბაშვის გატაცება

ბათო ჯაფარიძე

კრიმინალური შემთხვევა, რომლის შემდეგაც სისხლის სამართლის კოდექსს ახალი მუხლი დაემატა

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, 80-იანი წლების მიწურულამდე, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო მუხლი, რომელიც იმ ადამიანთა დასჯას ითვალისწინებდა, რომლებიც გამოსასყიდის მიღების მიზნით, ვინმეს გაიტაცებდნენ ანუ საბჭოთა კავშირში ვერ წარმოედგინათ, რომ ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო. 1984 წელს, გამოსასყიდის მიღების მიზნით, პირველი გატაცება მოხდა, ორი წლის შემდეგ კი, კოდექსში შესაბამისი მუხლი გაჩნდა.

ეს ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად ამბობდნენ, რომ გატაცებები ხდებოდა და გამტაცებლები გამოსასყიდსაც იღებდნენ და ასეთ ქვეყნებად აზერბაიჯანი, საქართველო, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა სახელდებოდა. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ 1984 წელს, როცა ვოლგოგრადში, მეოთხე კლასის მოსწავლე, ივანე გასპაროვი გაიტაცეს, ადგილობრივმა სამართალდამცავებმა, მოსკოვის მითითებით, ქართველი, აზერბაიჯანელი და ოსი კოლეგები დაიხმარეს.

„საქართველოდან სამნი წავედით, ისინი, რომლებსაც, ასე თუ ისე, შეხება გვქონდა გატაცებასთან. მართალია, ოფიციალურად არსად ეწერა, რომ საქართველოში ვინმეს გატაცება გამოსასყიდის მიღებით დასრულდა, თუმცა საფუძვლიანი ეჭვი არსებობდა, რომ ჩვენთან გატაცებები ხდებოდა და გამტაცებლები ე.წ. კანონიერი ქურდების მეშვეობით, გამოსასყიდსაც იღებდნენ“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ვოლგოგრადის მილიცია ფეხზე იდგა. ვანია სკოლაში მიდიოდა თანაკლასელებთან ერთად და ზედ სკოლის კართან, ვიღაცამ მანქანიდან სახელით დაუძახა, ბავშვი გაიქცა და მანქანასთან გაჩერდა. შემდეგ თანაკლასელებს არაფერი დაუნახავთ – სკოლისკენ გადაუხვიეს.

ის, რომ მანქანაში მყოფი ბავშვს იცნობდა, ცხადი იყო, მაგრამ ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ვანია ავტომობილში თავად არ ჩაჯდა და ძალით ჩასვეს, რადგან იმ ადგილზე ბავშვის სათვალე ეგდო. მას მხედველობის პრობლემა ჰქონდა და სათვალეს ატარებდა.

დაიწყო მამის, გენადი გასპაროვის გარემოცვის შესწავლა. ის ვოლგოგრადში საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი ადამიანი იყო თავისი ადამიანობით, ურთიერთობით, მეგობრობით. მას ფული არ უჭირდა, მაგრამ იმდენი ნამდვილად არ ჰქონდა, რომ ამ მიზნით, შვილი მოეტაცებინათ.

საღამოს ტელეფონის ზარიც გაისმა და გამტაცებლები 150 ათას მანეთს ითხოვდნენ, რაც მაშინ ძალიან, ძალიან დიდი ფული იყო. ერთოთახიანი ბინა ვოლგოგრადში, 6-7 ათასი მანეთი ღირდა ანუ დაახლოებით, 25 ბინის ფასს ითხოვდნენ. ფულის მოსაგროვებლად გასპაროვების ოჯახს 3 დღე მისცეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამართალდამცავებს ბავშვის მოსაძებნად, 48 საათზე მეტი ჰქონდათ.

„მთავარი, რასაც მამას და დედას არ ვეუბნებოდით, ის იყო, რომ დარწმუნებულები ვიყავით, გამტაცებლები ბავშვს ყველა ვარიანტში მოკლავდნენ. მან ხომ, მინიმუმ, ერთი გამტაცებელი იცნო და ცოცხლად ასეთი მოწმის დატოვება არ შეიძლებოდა. ამიტომ, მაქსიმუმს ვაკეთებდით, რომ ბავშვი გვეპოვა, ფეხზე დადგა არა მარტო აგენტურული ქსელი, არამედ, მთელი ქალაქი. გასპაროვებთან სრულიად უცხო ადამიანები მიდიოდნენ და ფულს უტოვებდნენ, ვისაც რამდენი შეეძლო. ვიღაცებს ძვირფასეულობაც მოჰქონდათ. ასე შეგროვდა, დაახლოებით, 50 ათასი მანეთი ანუ მოთხოვნილი თანხის მესამედი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ადგილობრივ „კანონიერ ქურდებთან“ ურთიერთობა ქართველ ოპერმუშაკებს დაევალათ. კრიმინალური სამყაროს ლიდერებმა პირობა დადეს, რომ ძებნაში მონაწილეობას მათი ხალხიც მიიღებდა და ისიც თქვეს, რომ ბავშვის გატაცებასთან მათ შეხება არ ჰქონდათ. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი არ ტყუოდნენ.

ორდღიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, ოჯახის უფროსს ისტერიკა დაემართა და მთელი აგრესია სამართალდამცავებზე ამოანთხია, აქაოდა, უხეიროდ მუშაობთ, არ შეგიძლიათ დამნაშავე დააკავოთო და ოპერები ბინიდან გაყარა.

სამართალდამცავებმა იქაურობა დატოვეს, მაგრამ რაღა თქმა უნდა, გარეთ ორი ოპერატიული მანქანა და ათამდე ოპერმუშაკი დარჩა. ფულის გადაცემის დრო ახლოვდებოდა და გასპაროვს გადაწყვეტილი ჰქონდა, გამტაცებლებისთვის 50 ათასი მანეთი წაეღო და შვილის დაბრუნება ეთხოვა. ის სახლიდან გამოვიდა, საკუთარ „მოსკვიჩში“ ჩაჯდა და გეზი ქალაქის გასასვლელისკენ აიღო. სამართალდამცავები ორი მანქანით გაჰყვნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, რათა გასპაროვს ეჭვი არ აეღო და რაც მთავარია, არ შეენიშნათ გამტაცებლებს იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფროსს ისინიც უთვალთვალებდნენ.

ქალაქიდან გასვლის შემდეგ, გატაცებულის მამამ გზიდან გადაუხვია და ტყეში შევიდა. სამართალდამცავებმა ავტომობილი ტყის პირზე გააჩერეს და ფეხით მიჰყვნენ. დაახლოებით, 300 მეტრის გავლის შემდეგ, გასპაროვმა ფულით სავსე ჩანთა ერთ-ერთ ხეზე ჩამოკიდა და ხმამაღლა დაიწყო საუბარი, ის უჩინარ გამტაცებელს უხსნიდა, რომ მეტი ვერ მოაგროვა და შვილის დაბრუნებას სთხოვდა. შემდეგ ტერიტორია დატოვა, სამართალდამცავები კი დარჩნენ. მათდა სამწუხაროდ, სიბნელეში ვერც კი გაიგეს, როგორ მივიდა გამტაცებელთაგან ერთ-ერთი ხესთან, როგორ უხმაუროდ ჩამოხსნა ჩანთა და როგორ წავიდა. გამთენიისას ალყაშემორტყმული ხე მშვიდად იდგა, ჩანთა კი არსად იყო.

იმავე დილით, გასპაროვების ოჯახში ზარი გაისმა და გამტაცებლებმა დარჩენილი ასი ათასის შესაგროვებლად, 24 საათი მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიჭის თავის გაგზავნით იმუქრებოდნენ და პირობას დებდნენ, რომ ტანს ვერ იპოვიდნენ.

„იმ შემოგარენს საერთოდ არ ვიცნობდით, ამიტომ მეორე დღეს, ადგილი დავათვალიერეთ, კვალის პოვნის იმედად, ტყის სიღრმეში შევედით და, დაახლოებით, ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ, რომელიღაც სოფელში ამოვყავით თავი. იქაური უბნის რწმუნებული მოვნახეთ და ვკითხეთ, რამე საეჭვო ხომ არ ჰქონდა შემჩნეული ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში. მან კეფა მოიქექა და საეჭვო შემთხვევებიდან მხოლოდ ის გაიხსენა, რომ ერთ-ერთ მიტოვებულ სახლთან, სამი დღის წინ ანუ ზუსტად გატაცების დღეს, ავტომობილი და რამდენიმე მამაკაცი დაინახა, თუმცა მას შემდეგ, არც კაცები გამოჩენილან, არც – ავტომობილი და სახლიც ისევ ისე მიტოვებული იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სხვა შანსი არ იყო და სამართალდამცავებმა მითითებულ სახლს, დაახლოებით, 300 მეტრიდან ჭოგრიტით დაუწყეს თვალთვალი. ოთხსაათიანი თვალთვალის შემდეგ, ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა, რომელიც ჭოგრიტში იმზირებოდა, დაბეჯითებით თქვა, სახლში ვიღაც არის, ფარდა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაინძრაო. დაიგეგმა ოპერაცია, შებინდებისას ოცამდე პოლიციელი სახლს მიუახლოვდა და...

„პირველი მე შევედი, აქაოდა, ასეთ საქმეებში გამოცდილი ხარო. ვერ გეტყვით, ეს ინსტიქტი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, გვერდით გავხტი და ჩემზე მოქნეულმა დანამ მხოლოდ მკლავი გამისერა. სახლში სამნი იყვნენ და რაღა თქმა უნდა, სამივე გავკოჭეთ, სარდაფში კი, ძველ ლეიბზე ვანია გასპაროვს ეძინა“,-გვიყვება ბატონი თენგიზი.

რაც მთავარია, დაკავებულთა შორის არ იყო მთავარი – ამ ოპერაციის დამგეგმავი პირი, რომელიც ვანიამ იცნო და მანქანას თამამადაც ამიტომ მიუახლოვდა. ეს გახლდათ ვინმე არტიომ რუბანოვი, გატაცებული ბავშვის ოჯახის უახლოესი მეგობარი.

„მე და არტიომი ერთ კურსზე ვსწავლობდით, მთელ დღეებს ერთად ვატარებდით, შემდეგ კი ის ჩხუბის გამო დააკავეს და ერთი წლით ციხეში გაუშვეს. ციხიდან გამოსული არავინ გაიკარა, ორი თვე ჩემთან იცხოვრა, შემდეგ კი მუშაობა დავაწყებინე, თუმცა ისევ ჩხუბის გამო, ციხეში მოხვდა და ამჯერად, სამი წელი მისცეს. იქიდან გათავისუფლებულს მუშაობის დაწყების შანსი, პრაქტიკულად, არ ჰქონდა, თუმცა მეგობრების დახმარებით, ტაქსის მძღოლად მოვაწყვე და ამოისუნთქა, ცოლი მოიყვანა, ბინა იყიდა. ახლა უკვე ოჯახებით ვმეგობრობდით და სანამ არ იტყვის, რა მოხდა, რის გამო გააკეთა ის, რაც გააკეთა, ვერ დავიჯერებ, რომ ჩემი შვილის გატაცების ორგანიზატორი ის იყო“, – განაცხადა გენადი გასპაროვმა.

რუბანოვი ოთხი დღის შემდეგ დააკავეს. მან დაკითხვაზე განაცხადა, რომ თავის მეობარზე ნიჭიერი იყო, მასზე ბევრად მეტის მიღწევა შეეძლო, მაგრამ, უბრალოდ, შურდა. ამიტომ გადაწყვიტა ბავშვის გატაცება, ამიტომ მოითხოვა არარეალური თანხა, რომ მერე გენადი გასპაროვს მთელი ცხოვრება ვალები ეხადა და ფული ეთხოვა რუბანოვისთვისაც, ტაქსისტს კარგი შემოსავალი ჰქონდა და საკუთარ ეგოს დაიკმაყოფილებდა, როცა მეგობარი ფულის სათხოვნელად მივიდოდა.

ვინაიდან, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსში გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანის გატაცების მუხლი არ იყო, დაკავებულები თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით გაასამართლეს და 8-8 წელი მიუსაჯეს. 1985 წელს კი კოდექსში შესაბამისი მუხლი გაჩნდა და ბევრად მკაცრი ზომებიც ჩაიწერა. 1984 წელს მომხდარი დანაშაული კი ოფიციალურად შევიდა საბჭოთა კავშირის კრიმინალისტიკის ისტორიაში, როგორც გამოსასყიდის მიღების მიზნით, ადამიანის გატაცების გახსნილი საქმე.

ბათო ჯაფარიძე

თბილისში ერთი შვიდი წლის ბიჭი მოკლეს, ორი კი – გაიტაცეს

საბჭოთა კავშირში, პრაქტიკულად, ყველა საქმეს, რომელიც არასრულწლოვნებზე ძალადობასა და მკვლელობას ეხებოდა, გრიფით საიდუმლო ედო. საქმემ, რომელსაც ახლა გიამბობთ, არა მარტო მილიციის თანამშრომლები, არამედ, მრავლისმნახველი ექსპერტებიც კი შეძრა. რაც მთავარია, სამართალდამცავები ყველაფერს გადაჭარბებული პასუხისმგებლობით მიუდგნენ და დაკავებულის ცხოვრების კონტროლი არც მას შემდეგ შეუწყვეტიათ, რაც სასჯელი შეუფარდეს. ყველაფერი კი, ერთი შეხედვით, უბედური შემთხვევით დაიწყო.

„თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმდებარედ, დედა და ბებია, 7 წლის ბავშვთან ერთად, საყიდლებზე იყვნენ. მერე, მეზობლებმაც გვითხრეს, ბავშვს არც დედა და არც ბებია ეზოშიც კი არ უშვებდა მარტო, მუდმივად თვალთახედვის არეში ჰყავდათო, მაგრამ იქ წამით მოადუნეს ყურადღება და... ბავშვი, უბრალოდ, გაქრა. ადგილობრივი მილიცია და რიგითი მოქალაქეებიც კი 7 წლის ბიჭს ეძებდნენ, თუმცა ამაოდ – ვერსად ნახეს. 1980 წელი იდგა და სიმშვიდის მიუხედავად, გაჩნდა ვარაუდი, რომ ბავშვი ბოშებმა მოიპარეს“, – გვიყვება ქართული კრიმინალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე შემზარავ შემთხვევას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სანამ სამართალდამცავები ბოშების დასახლებას ჩხრეკდნენ, ბავშვის უსიცოცხლო სხეული ნახალოვკაში, ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში იპოვეს. ისე ჩანდა, რომ ბავშვი იმ შენობაში შევიდა, სიმაღლიდან გადავარდა და გარდაიცვალა, თუმცა ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გაირკვა, რომ ბავშვი გაგუდული იყო და რაც მთავარია, მკვლელს მცდელობა ჰქონდა, მისთვის სასქესო ორგანო მოეჭრა და ეს ან იმის გამო ვერ მოახერხა, რომ ვინმემ ხელი შეუშალა, ან შესაბამისად მჭრელი იარაღი არ ჰქონდა. ეს არ იყო რიგითი დანაშაული, ეს იყო ნამდვილი კატასტროფა. 7 წლის ბიჭის მკვლელობა და თან, სად – ქალაქის ცენტრში, დღისით, მზისით... რაც ყველაზე საინტერესოა, ვერავინ იხსენებდა, ვინ წაიყვანა ბავშვი, როგორ წაიყვანა, როგორ მოშორდა დედას და ბებიას იმ მანძილით, რომ ვიღაცამ ამდენ ხალხში მისი უხმაუროდ გაყვანა მოახერხა...

„გონებაში ათასჯერ, ათი ათასჯერ მაქვს დატრიალებული ის კადრი, როცა ბავშვს ვერ ვხედავდი. 37 წამზე მეტი არასდროს გასულა ანუ ბავშვს თვალი, მაქსიმუმ, 37 წამით მოვაცილე და სამუდამოდ დავკარგე. მოგმართავთ მშობლებს, არცერთი წამით არ დატოვოთ ბავშვები მარტო იმიტომ, რომ არ იცით, გარშემომყოფი ადამიანებიდან ვინ რას წარმოადგენს“, – ეს იმ ბავშვის დედის სიტყვებია, რომელიც სასტიკად მოკლეს. ქალბატონი დღესაც ცოცხალია და იმ სამართალდამცავებს, რომლებმაც მისი შვილის მკვლელობა გამოიძიეს, დღემდე არ ემადლიერება.

მკვლელობის ძიებაში ჩაერთო ყველა – უშიშროება, შსს, აგენტურული ქსელი, ე.წ. კანონიერი ქურდები... საქმის გახსნა არ იყო მხოლოდ ღირსების საქმე, ქალაქში დადიოდა მკვლელი, რომელიც ერთ ბავშვზე არ გაჩერდებოდა და თან, მილიციას მომხდარის გახმაურების უფლება არ ჰქონდა. ოფიციალურად, მთელმა თბილისმა იცოდა, რომ ბავშვი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

მომხდარიდან ორ კვირაში, ერთ-ერთი კორპუსის ეზოდან ორი ბიჭი გაქრა. ისინიც 7 წლისანი იყვნენ და მათ ძებნაში მაღალჩინოსნებიც კი ჩაერთვნენ, დარბოდნენ და ეძებდნენ ყველგან – სკვერებში, ახლომდებარე შენობებში... საბოლოოდ, ბავშვებს ერთ-ერთმა მეზობელმა, დაახლოებით, ნახევარ კილომეტრში, გამწვანების ზოლში მიაგნო. ისინი შეშინებულები იყვნენ და რადგან გარემოს ვერ სცნობდნენ, ადგილიდან არ იძვროდნენ. სანამ ბავშვებს მშობლებს გადასცემდნენ, ექიმებმა სრული ექსპერტიზა ჩაუტარეს. საბედნიეროდ, არცერთს არაფერი სჭირდა და დაკითხვის დროც დადგა, რომელსაც მშობლები დაესწრნენ. ბავშვების მტკიცებით, მათთან ახალგაზრდა კაცი მივიდა და თქვა, რომ გვერდით თვითმფრინავი ჩამოვარდა და მის სანახავად წაიყვანდა. 7 წლის ბიჭებისთვის ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ნახვა ნამდვილი დღესასწაული იყო, ამიტომ მაშინვე გაჰყვნენ და თავი იმ გამწვანების ზოლში ამოჰყვეს, რომელსაც გარს მაღალი ბუჩქები ერტყა. უცხო კაცმა ერთ-ერთს გახდა დაუწყო და სწორედ ამ დროს, ბუჩქებთან რაღაც გაინძრა და როცა გამტაცებელმა დაინახა, რომ ეს „რაღაც“ მამაკაცი იყო, იქაურობა სირბილით დატოვა. უცხო კაცი წამოდგა, გაიზმორა, ბავშვებს ერთი გადახედა და წავიდა. მილიციამ „უცხო სხეულის“ ვინაობა მალე გაარკვია – ადგილობრივი ლოთი, რომელიც დათვრებოდა და სწორედ იმ ბუჩქებში ეძინა. სამწუხაროდ, მან ვერ მოახერხა იმ კაცის აღწერა, რადგან, პრაქტიკულად, არც კი დაუნახავს და ბავშვებიც ბუნდოვნად ახსოვდა, ჩათვალა, რომ მის „სამფლობელოში“ პატარები სათამაშოდ იყვნენ. სამაგიეროდ, ბავშვებმა შეათვალიერეს კარგად მათი გამტაცებელი და იმის მიუხედავად, რომ ერთი ამბობდა, მოხუცი იყოო, მეორე კი ამბობდა, ახალგაზრდაო, მათ წინ ფანქარი და ფურცელი დაუდეს და იმ ადამიანის დახატვა სთხოვეს.

„ანახეთ ბავშვებს ადამიანი და შემდეგ დაახატინეთ. ისინი სრულიად განსხვავებულ ნახატებს შეადგენენ, რადგან ფანტაზია განუსაზღვრელი აქვთ, მაგრამ აუცილებლად გამოყოფენ რაიმე დამახასიათებელ ნიშანს, მაგალითად, ქუდს, ხალს, ან წვერს... ამის იმედი გვქონდა და ამიტომაც ვთხოვეთ დაეხატათ. რა თქმა უნდა, ორი სრულიად სხვადასხვა ნახატი მივიღეთ, თუმცა ორივე ნახატში დამნაშავეს რაღაცნაირი, წინ წამოწეული და წაწვეტებული ყურები ჰქონდა ანუ გადაჭრით შეგვეძლო თქმა, რომ ეჭვმიტანილს სწორედ ასეთი ყურის ფორმა ექნებოდა. ასაკს რაც შეეხება, ბავშვებს ვანახეთ სხვადასხვა ასაკის ადამიანები და ისინი შეთანხმდნენ, რომ გამტაცებელი, დაახლოებით, 18-დან 25 წლამდე იყო. ეს ასაკი არ მოგვეწონა, რადგან ჩვენს კარტოთეკაში ასეთი არავინ ეწერა ანუ ქალაქში ახალი დამნაშავე გამოჩნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითის ანაბეჭდებიც რომ დაეტოვებინა სადმე, ვერ ვიპოვიდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ორი ბავშვის გატაცებიდან ათ დღეზე მეტი გავიდა, თუმცა გამოძიება წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ მიდიოდა. საბედნიეროდ, არც ეჭვმიტანილი აქტიურობდა და სკვერებში, სადაც მშობლებს ბავშვები სასეირნოდ დაჰყავდათ, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული სამართალდამცავები მორიგეობდნენ. ისე, ასეთმა მორიგეობამ ის შედეგი გამოიღო, რომ წვრილმანი ქურდობისა თუ ძარცვისთვის ოცზე მეტი პირი იქნა დაკავებული, მაგრამ მათ შორის მთავარი დამნაშავე არ გახლდათ.

„ახლა ყოველი მეორე მანქანა ტაქსია. ადრე ასე არ იყო, ტაქსი საძებარი გახლდათ და არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა მომავალ ავტომობილს ხელს აუქნევდი და შესაბამისი თანხის სანაცვლოდ, რიგითი ადამიანი სასურველ მისამართზე მიგიყვანდათ. ასე დაიწყო ამ ისტორიის კვანძის გახსნა, რომელიც ოცწელზე მეტი გაგრძელდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ერთ-ერთი ოპერმუშაკი ღამით შინ ბრუნდებოდა, როცა ხელი ახალგაზრდა კაცმა აუწია. მანაც მანქანა დაამუხრუჭა, იფიქრა, თან გავერთობი, თან იქნებ ჩემი საკბილოც იყოს რამეო. ახალგაზრდა უკან ჩაჯდა, რაც სამართალდამცავს არ მოეწონა და ქამარში იარაღი მოსინჯა. როცა ბიჭი ადგილამდე მიიყვანა, მან მორიდებით უთხრა, ფული არ მაქვს, მაგრამ იქნებ, ეს გამოგადგეთ და პატარა, ვერცხლის ჯვარი გაუწოდა. ოპერმუშაკს მაშინვე გაახსენდა, რომ მოკლულ ბიჭს ვერცხლის ჯვარი შეხსნეს, ამიტომ, მგზავრს ხელბორკილი დაადო და განყოფილებაში მიიყვანა. სანამ გამომძიებელი მოვიდოდა და ჯვარს ამოიცნობდნენ, იმავე ოპერმუშაკმა სასხვათაშორისოდ ჰკითხა დაკავებულს, იმ ბავშვებსაც მოკვლას უპირებდი, გამწვანების ზოლში რომ წაიყვანეო და... დაკავებულმა ჩუმად ჩაილუღლუღა – არ მეგონა, თუ მითვალთვალებდითო.

დაკავებული ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო, 19 წლის. ჰყავდა დედა, მამა, და... მან ორივე დანაშაული აღიარა და დაადასტურა, რომ პატარა ბიჭებისკენ რაღაც ძალა ექაჩებოდა, რაღაც ხმები ესმოდა. სასქესო ორგანოს მოჭრაც სპონტანურად გადაწყვიტა, მაგრამ ვერ მოახერხა. რაც შეეხება გატაცების პროცესს, მეორე შემთხვევის შესახებ სამართალდამცავებმა ბავშვების მონაყოლით იცოდნენ, პირველი შემთხვევის დროს კი... მან, უბრალოდ, ხელი ჩასჭიდა ბავშვს და ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა. ბავშვს ზემოთ არც აუხედავს, ეგონა დედას ან ბებიას მიჰყავდა და მორჩილად მიჰყვებოდა.

სანამ დაკავებული სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა, მას ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექიმებმა ერთხმად თქვეს – დაკავებული შეურაცხადია და მკურნალობა სჭირდებაო. გამოძიებას ექიმთა ვერსია არ მოეწონა და ექსპერტიზა კიდევ ერთხელ ჩანიშნა. განმეორებითმა ექსპერტიზამ ახალი არაფერი თქვა – დაკავებული შეურაცხადი იყო და მისი გასამართლება არ შეიძლებოდა.

„იმდენი მაინც მოვახერხეთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკავებული, მინიმუმ, 15-წლიან კურსს გაივლიდა ფსიქიატრიულში. იმედი გვქონდა, ამ ხნის განმავლობაში ან მოკვდებოდა, ან მართლა ისე შეირყეოდა, რომ იქიდან აღარ გამოუშვებდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

განაჩენი გარდაცვლილი ბავშვის მშობლებს არ მოეწონათ, ისინი დახვრეტას ითხოვდნენ, მაგრამ უძლურები აღმოჩდნენ. უფრო მეტიც, ბავშვის მამამ ფსიქიატრიულში შეღწევაც სცადა, მოახერხა კიდეც, მაგრამ პალატა აერია და შვილის მკვლელი ვერ მოკლა.

„პრაქტიკულად, ყველა, ვინც ამ საქმეში ვიყავით ჩართულნი, მაქსიმალურად ვაკონტროლებდით დაკავებულს ანუ ვამოწმებდით, შემთხვევით ხომ არ გამოჩნდა ვინმე კეთილისმსურველი და ხომ არ გამოუშვეს მკვლელი ფსიქიატრიულიდან. ასე გავიდა მისჯილის მინიმუმი ანუ 15 წელი. ჩატარდა ახალი კვლევა და ექიმებმა ჩვენთვის სასიამოვნო დასკვნა დადეს – პაციენტი არ გამოჯანმრთელებულა და მკურნალობა კიდევ სჭირდებაო. როგორც ჩანს, მკვლელს ეს არ მოეწონა და ვადის გაგრძელებიდან ორ კვირაში, ფსიქიატრიულიდან გაიქცა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გაქცევიდან ორ საათში, მოქალაქეებმა, ცენტრალურ უნივერმაღთან, იქ, სადაც ახლა „თი ბი სი“ ბანკის სათაო ოფისია, დააკავეს მამაკაცი, რომელიც 8 წლის ბიჭის გატაცებას ცდილობდა. დაკავებული ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაქცეული პირი აღმოჩნდა. ის კვლავ ფსიქიატრიულში დააბრუნეს და უმკაცრესი კონტროლი დაუწესეს. საბოლოო ჯამში, ის ფსიქიატრიულში 2006 წელს გარდაიცვალა.

მოკლული ბავშვის დედა კი დღემდე ამბობს, რომ სამართალდამცავებს არაერთხელ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ მანიაკი მოეკლათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს, ამიტომ მათი ქმედებით უკმაყოფილო იყო და საბჭოთა სასამართლოსაც არ სწყალობდა, რადგან მისი შვილის მკვლელი არ გაასამართლა და არ დახვრიტა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის 21 პირი დააკავა, მათ შორის, 18 ნარკორეალიზატორი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, ლაგოდეხში, მარნეულში, რუსთავსა და ბათუმში ნარკორეალიზატორები დააკავა, ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები. პოლიციის მიერ, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 18 ნარკორეალიზატორია დაკავებული, კერძოდ:

*** ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ: 1996 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ვ., 1974 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.გ., 1974 წელს დაბადებული ე.კ., 1970 წელს დაბადებული გ.კ., 1982 წელს დაბადებული ზ.მ., 1984 წელს დაბადებული ა.ა., 1992 წელს დაბადებული გ.ნ., 1988 წელს დაბადებული ა.ნ., 1988 წელს დაბადებული ვ.ა., 1986 წელს დაბადებული ვ.მ., 1986 წელს დაბადებული ტ.ა. და 2004 წელს დაბადებული ა.გ.**

*** კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ: 1973 წელს დაბადებული ი.ა. და 1983 წელს დაბადებული ვ.ა.**

*** ქვემო ქართლის თანამშრომლების მიერ: 1986 წელს დაბადებული რ.გ., 1974 წელს დაბადებული ი.ა., 1992 წელს დაბადებული მ.კ., 1990 წელს დაბადებული ო.ზ.**

*** ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ: 1964 წელს დაბადებული ა.გ., 1982 წელს დაბადებული მ.ჭ.**

*** თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლების მიერ: 1985 წელს დაბადებული გ.ა.**

მათ ბრალი განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვაში, უკანონო გასაღებასა და ჯგუფურად ჩადენილ უკანონო გასაღების მცდელობაში ედებათ. დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციის მიერ დაკავებული სამი პირი სოციალურ ქსელში არსებული ნარკორეალიზატორთა ორგანიზებული ჯგუფის კურიერები იყვნენ. ისინი ნარკოტიკულ საშუალებებს თბილისში, სხვადასხვა ადგილზე, უკანონო რეალიზაციის მიზნით ათავსებდნენ და ასაღებდნენ.

სამართალდამცველებმა, მათი პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის, 8 ლიტრამდე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება. ჩხრეკისას ასევე ამოღებულია დიდი ოდენობით თანხა.

ნარკოდანაშაულის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, ალბერტ იონსონთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობა.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანაა, ქვეყნის მასშტაბით მართლწესრიგის დაცვა და არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ, უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა. მისივე თქმით, სამინისტრო აქტიურად არის ჩართული არჩევნების მოსამზადებელ პროცესებში და არჩევნებთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციისა და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროს მიერ, ამ კუთხით უკვე განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე. ვახტანგ გომელაურმა გამოთქვა მზაობა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროაქტიურად ითანამშრომლოს და ინფორმაცია გაუზიაროს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს საარჩევნო პერიოდში შესაძლო დარღვევებისა და პოლიციის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ.

ალექსანდრე დარახველიძემ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მაღალი დონის დელეგაციასთან ონლაინ-შეხვედრა გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მაღალი დონის დელეგაციასთან ონლაინ-შეხვედრა გამართა. NDI-ს სახელით, შეხვედრას ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში, პერ ეკლუნდი უძღვებოდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოში მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განიხილეს და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე.

ონლაინ-შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ორგანიზაციის – „ეროვნული მხარდაჭერა დემოკრატიისათვის“ (NED) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და NDI-ის ყოფილი პრეზიდენტი, კენ უოლაკი; აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის უფროსი სპეციალისტი, ჰანა თობურნი; აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წარმომადგენელი, ბენ კუპერი; NDI-ის ევრაზიის რეგიონული თანადირექტორი, მელისა მუსიო; NDI-ის არჩევნების პროგრამების დირექტორი, პეტ მერლო და NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი, ალან გილამი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს, შიდა ქართლში, აჭარაში, სვანეთსა და თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს და ექვსი პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1981 წელს დაბადებული ა.ხ., 1981 წელს დაბადებული ჯ.ლ., 1989 წელს დაბადებული გ.დ., 1973 წელს დაბადებული თ.ც., 1988 წელს დაბადებული ნ.გ. და 1970 წელს დაბადებული გ.ჯ.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯ.ლ. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მისივე მართვის ქვეშ არსებული ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, აღნიშნული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „გლოკ 43“-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 11 საბრძოლო ვაზნა და 2 მჭიდი. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ა.ხ.-მ „გლოკ 43“-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 11 საბრძოლო ვაზნა მართლსაწინააღმდეგოდ გაასაღა თავის ნაცნობ ჯ.ლ.-ზე, ამ უკანასკნელმა კი ცეცხლსასროლი იარაღი შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეიძინა.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ბრალდებული გ.დ.-ის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, კუსტარულად გადაჭრილი თოფი და 12 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 75 საბრძოლო ვაზნა.

მესტიის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა, ბრალდებული თ.ც.-ის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს „აკ-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებული ნ.გ.-ის ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს „ჩეზეს“ ფირმის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 8 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გ.ჯ.-ის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 15 ვაზნა და 1 მჭიდი ამოიღეს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, უკანონო გასაღებისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

როცა სირცხვილიც კი სირცხვილია

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ორი შეხვედრა გამართა. 2 სექტემბერს, ჩვენმა გუნდმა კოსოვოს უმასპინძლა, 5 სექტემბერს – ესპანეთს ესტუმრა. კოსოვოელებთან 0:1 წავაგეთ, ესპანელებთან – 0:4 და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი კი არა, ნეტავ, ამ ჩემპიონატის ტელევიზიით ყურების შესაძლებლობას მოგვცემდნენ. წაგებით ვის არ წაუგია, მითუმეტეს ესპანეთთან, მაგრამ...

აღნიშნულ ორ შეხვედრაში საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა დაამტკიცა, რომ ფეხბურთელები არ გვყავს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც სანაკრებო დონეს დააკმაყოფილებენ, რომლებსაც სირბილი არ დაეზარებათ, რომლებზეც ელემენტარულად ვიტყვით, რომ მოედანზე ყველაფერი დადეს და არ გამოუვიდათ. გაქრა მოლოდინი იმისა, რომ ნაკრების ახალი თავკაცი, ვილი სანიოლი რაღაცას შეცვლიდა, რაღაცას მოიფიქრებდა. მან აღიარა კიდეც, ფეხბურთელების დეფიციტი მაქვსო, თუმცა ისიც ფაქტია – მწვრთნელი თამამ გადაწყვეტილებებს ერიდება და თითქოს აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ დიდი ანგარიშის ნაცვლად, პატარა ანგარიშით წააგოს. შედარებისთვის გეტყვით, რომ იგივე სომხეთი, ხუთი ტურის შემდეგ, ჯგუფში 10 ქულით მეორე ადგილზეა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძვის და მხოლოდ გერმანიას ჩამორჩება. სომხების უკან კი რუმინეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, ისლანდია და ლიხტენშტეინი მოდიან ანუ ქვეყნები, რომლებსაც ჩვენ უსერიოზულეს მეტოქეებად აღვიქვამთ, სომხეთი კი უსწრებს. 5 ტურის შემდეგ, ჩვენ ერთი, ერთადერთი ქულა გვაქვს და თუ ასე ვითამაშებთ, ალბათ, მეტს ვერც ავიღებთ.

საქართველოს ნაკრების წარუმატებლობაზე წერა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ახლა აქ გავჩერდეთ. თავმოყვარე გუნდი ბოდიშს მაინც მოიხდიდა, იმას მაინც იტყოდა, ვეცადეთ, არ გამოგვივიდაო, მაგრამ ვაი, რომ გულშემატკივარი ვერც ამ მცდელობას ხედავს. მათ გასაგონად ვიტყვით – იცით, რატომ ვზივარ, პირადად მე, ტრიბუნებზე? იმიტომ, რომ ფეხბურთის თამაში არ ვიცი და არანაირი სურვილი არ მაქვს, მოედანზე გავიდე, ვიცოდვილო და მერე მილიონზე მეტმა ადამიანმა მაგინოს. ჰოდა, სანამ მოედანზე გახვალთ, თქვენც რომ დაფიქრდეთ, ბატონებო, იქნებ, თქვენც არ იცით?

ძალიან კარგი ამბავი – ავთანდილ ხურციძე ციხეს ტოვებს



პროფესიონალი ქართველი მოკრივე, ავთანდილ ხურციძე 2017 წელს, ამერიკაში დააპატიმრეს. 2018 წელს, იქაურმა სასამართლომ რეკეტში მონაწილეობის მიღებასა და კრიმინალურ სინდიკატთან კავშირის გამო, 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამ დროის განმავლობაში, ხურციძე ვარჯიშობდა და იმის მიუხედავად, რომ 42 წლისაა, მუდმივად აცხადებდა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, აუცილებლად კრივს დავუბრუნდები და საჩემპიონო ქამრისთვის ვიბრძოლებო. როგორც ჩანს, ჩვენებურის კარგი მოქცევა არც ამერიკელებს დარჩენიათ ყურადღების მიღმა და გაირკვა, რომ ქართველი სპორტსმენი ციხეს რამდენიმე დღეში, კონკრეტულად, 14 სექტემბერს დატოვებს.

„მოგესალმებით გულშემატკივრებს, მეგობრებს, ნათესავებს. მინდა, გაცნობოთ და გახაროთ, რომ 14 სექტემბერს აღირიცხება და აღინიშნება ჩემი თავისუფლების დღე. თავისუფლება ზუსტად ისეთია, როგორიც გახლავართ მე. გამოვდივარ სრული მონდომებით და მომზადებით, რათა მივაღწიო აღნიშნული კარიერის დასასრულს, სულ დარჩენილი რამოდენიმე ქამრის ხელში მოგდების შემთხვევაში და ამისთვის მქონდა მთელი ხუთწლიანი სამზადისი, ყველანაირი პირობა, რათა მომეხდინა ძალების შეგროვება ყველაზე ძლიერ ადგილზე, ფედერალურ საკანში. რაღა დაგიმალოთ და, უკეთეს პირობებში, რაც კი მქონია სამშობლოში, სპორტული მზადების დროს, არ დაგზარდებით და აგისახავთ ამა თუ იმ პირობებს, ფეხბურთის სტადიონი სტანდარტებში მოთავსებული, ირბინე ენის წაგდებამდე, არაა პრობლემა; „კრუგზე“ – შტანგებისა და ტრენაჟორების დარბაზი; ტიხარი – გვერდით სარბენი მანქანები, ერთი ოთხი; რა ვიცი, „სკაკალკები“; მძიმე ბურთები; პრესის „საკაჩაო“ დანადგარები და სხვადასხვა, ესეთი მოსამზადებელი საშუალება, რაც ჩემს ქვეყანაში არასდროს არ მქონია. ასე რომ, მე კმაყოფილი ვარ, ესეთ პირობებში მყოფი ავთანდილ ხურციძე და მზად მყოფი კარიერის გასაგრძელებლად. დიდი მადლობა ამერიკას, დროულად გათავისუფლებისთვის და გათვალისწინებისთვის ამა თუ იმ საკითხის – ყოფაქცევის და დისციპლინის, მადლობა შეფასებისთვის და დაღვრილი ოფლის დაფასებისთვის და აქვე დიდი მადლობა ჩემს ადვოკატს, ქალბატონ მეგანს და ბატონ კენის, ბოლომდე გვერდით დგომისთვის. პატივისცემით, თქვენი ავთანდილ ხურციძე“, – ეს განცხადება სოციალურ ქსელში, მოკრივის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

წივწივაძემ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო

პორტუგალიურ მონტემორში, 18-წლამდელ ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რუსთაველმა ნიჩბოსანმა, ალექსანდრე წივწივაძემ საუცხოოდ იასპარეზა და ერთადგილიანი კანოეთი 500 მეტრზე გაცურვაში ოქროს მედალი არავის დაუთმო.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ტურნირში მთავარ ფავორიტად რუსი მაქსიმ კარატაევი ითვლებოდა და აკი, ჩვენებურს ბოლომდე მხოლოდ მან სდია. საბოლოო ჯამში, წივწივაძემ რუს მეტოქეს 0.27 წამით აჯობა და პორტუგალიაში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

როცა კოვიდ-რეგულაციები ფეხბურთზე მაღლა დგას

6 სექტემბერს, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ცენტრალური შეხვედრა ბრაზილიაში უნდა გამართულიყო. ადგილობრივი ნაკრები არგენტინას მასპინძლობდა და საფეხბურთო სამყარო ნეიმარისა და ლიონელ მესის დაპირისპირების მომსწრე უნდა გამხდარიყო. მატჩი დაიწყო და... მეექვსე წუთზე, მოედანზე პოლიციის შესვლის გამო შეწყდა. როგორც პოლიციელებმა განმარტეს, არგენტინის ნაკრების ოთხმა ფეხბურთელმა კოვიდ-რეგულაციები დაარღვია და ისინი კანონის თანახმად, ქვეყნიდან სასწრაფოდ უნდა გაეძევებინათ. თავიდან, ეს ყველას ხუმრობა ეგონა, მაგრამ როცა ფეხბურთის ადგილობრივი ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, კანონს წინ ვერ აღვუდგებიო და სამართალდამცავებმა ემილიანო მარტინესი, კრისტიან რომერო, ემი ბუენდია და ჯოვანი ლო სელსო მოედნიდან ძალის გამოყენებით გაიყვანეს, მატჩი შეწყდა და ჩაიშალა. ახლა ფიფამ უნდა გადაწყვიტოს, დააჯარიმებს ბრაზილიას და წაგებას ჩაუთვლის, თუ რეგულაციებსა და კანონს ისიც გაითვალისწინებს და მატჩს სხვა დროისთვის დანიშნავს.

რომელი ფეხბურთელი იღებს ყველაზე მეტ ხელფასს მსოფლიოში

სატრანსფერო სეზონის დასრულებასთან ერთად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვეობის ორი უდიდესი ფეხბურთელის, ლიონელ მესისა და კრიშტიანუ რონალდუს მიერ კლუბების გამოცვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებმაც უკვე ეპოქა შექმნეს და აგერ, გასულ კვირაში, ნაკრების მაისურით გატანილი ორი გოლის შემდეგ, პროტუგალიელი ფეხბურთის ისტორიაში, ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი გოლის გამტანი მოთამაშედ იქცა. მის ანგარიშზე 111 გოლია და ადრინდელ რეკორდსმენს, ირანელ ალი დაეის უკვე ორი ბურთით უსწრებს.

რაც შეეხება ჯამაგირს, უინტერესო არ უნდა იყოს, ვინ არის ის 10 ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე მეტ გასამრჯელოს იღებს. მოგეხსენებათ, ფეხბურთელებს თანხას კვირაში გამომუშავებული ხელფასით უჯამებენ და ჩვენც საუკეთესო ათეულის ყოველკვირეულ ჯამაგირს შემოგთავაზებთ:

1. ლიონელ მესი („პარი სენ ჟერმენი“) – 1 325 000 აშშ დოლარი;
2. ნეიმარი („პარი სენ ჟერმენი“) – 836 000 აშშ დოლარი;
3. ლუის სუარესი (მადრიდის „ატლეტიკო“) – 793 000 აშშ დოლარი;
4. ანტუან გრიზმანი (მადრიდის „ატლეტიკო“) – 793 000 აშშ დოლარი;
5. გარეთ ბეილი (მადრიდის „რეალი“) – 690 000 აშშ დოლარი;
6. კილიან მბაპე („პარი სენ ჟერმენი“) – 566 000 აშშ დოლარი;
7. კრიშტიანუ რონალდო („მანჩესტერ იუნაიტედი“) – 531 000 აშშ დოლარი;
8. კევინ დე ბრუინი („მანჩესტერ სიტი“) – 531 000 აშშ დოლარი;
9. დავიდ დე ხეა („მანჩესტერ იუნაიტედი“) – 517 000 აშშ დოლარი;
10. რობერტ ლევანდოვსკი (მიუნხენის „ბაიერნი“) – 483 000 აშშ დოლარი.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მეორე ადგილზე მყოფი ნეიმარის ხელფასში გათვალისწინებული არ არის სპეციალური პუნქტით მისაღები ხელფასის ოდენობა. საუბარია ხელშეკრულების იმ დეტალზე, რომლის მიხედვითაც, ნეიმარი ზრდილობიანად, თავაზიანად და მეგობრულად უნდა მოიქცეს. ბრაზილიელი პუნქტუალურიც უნდა იყოს და გულშემატკივრებთან ურთიერთობას არ უნდა მოერიდოს. ამ ყველაფრის შესრულებისთვის ის პარიზული გუნდისგან წელიწადში დამატებით 6.5 მილიონ ევროს იღებს.

გრიგოლ რობაქიძე



ავტომედალიონი

პასუხად პაოლოს

ჩემი ღერბია დიონისოს მედალიონი.
ცეცხლით სწერია: მოხარული საშურო ხმალზე.
ჩემთვის ხალისობს სიხალისით თვით ალიონი
და მელის მუდამ მზიურ საქმროდ მე სილამაზე.
დღეს დაღვენთილი, დათენთილი მე ვფიქრობ სხვაზე,
დღეს თუ არ ლაღობს ჩემთვის თეთრი ნელი სიონი:
იცოდე მისთვის: რომ ავლესო სანატრიონი
და ქვეყნის ბედი გადავტეხო ჩემს ხერხემალზე.
ჰელადის შვილი ვარ ერთგული მე „ამორ ფატის“,
სავნებო მსხვერპლად გამზადილი, ვით სავსე თასი.
და თუნდ რაინდი ცხოველი მზე სულ დაიფუტოს:
თასზე თასს ვამსხვრევ, რომ ავმართო კიდევ ათასი.
თავაღებული: მე სარკე ვარ ყველა თვალების
და მასკა ჩემი ქერქი არის მხოლოდ ცვალების.

ალლას

ნელი შრიალით შეფოთლილი თუ ვინმე მოჰქრის:
ჟღალი ბეღურა თავს ევლება ტანსარო ალვას.
ის ვერ იხილავს ჩემს ეზოში პატარა ალლას –
მე ვეღარ ვიტყვი უცხო სტუმარს „ნისკარტი ოქროს“.
თეთრი ღიმილი აგონდება გადახრილ ქორედს.
ობლობას იხდის დედოფალა ნაჭრიან ჩითით.
გულდათუთქული ცქერას მესვრის ცქრიალა ჩიტი
და სამუდამოდ გაფრინდება ნაღვლიან შორეთს.
ვაშურებ ოთახს. დასრიალობს სიკვდილის კვალი.
ნინოს ხატის წინ დავიჩოქებ სათუთი მწირი.
მოვიკუნტები ჩუმი ლოცვით ნეკივით მცირე
და ვიშრობ ცრემლებს: საცოდავი ვით ჭიქის თვალი.

ამორძალი ლონდა

სონეტი ნაპირებგადალახული

ყიჟინი. როკვა. ახელება. სიტყვა. თამადა.
ხელიდან ხელში აზარფეში ამართული და გადმოსული.
ფილიპის ძესთან ომს ელიან ამორძალები ასე თამამად,
ხოლო რად კუშტობს ქერა ლონდა მტევანივით ტანდაყურსული.
როგორც ნადირი იმართება ის გალურსული.
ამბობს ამაყი: მაპატიოს ქალთა თავადმა:
მე მსურს შემირთოს ალექსანდრემ:
თუ გინდ ერთი დღით: მიხმოს თავად მან;
გესმით, ქალებო: მინდა გავხდე მისგან ორსული.
სამი დღე არის: ამორძალთან მაკედონელი –
ვაზის ფოთლებში ლხინობს მეტის ვეღარ მდომელი:
და ეტყვის ლამაზს: მრავალი ხალხი დავიმონე: მტრები ავხოცე:
მოვშვილდე ბედი: გამოვკვეთე ძლევის კამარა, –
მაგრამ ღმერთობას მასმევს მხოლოდ შენი გიჟი ტანი ავხორცი:
რაც პირველმან მას მოვხსენი ოქროს ქამარი.

აქლემი

აყუდებული. აყროყვილი. ორკუზიანი.
ცხუნე სივრცეთა კოშმარების უგვანო ბიში.
ბაიასავით გამომწვარი ზანგელა ბურში.
უცხო. უთვისო. მატანტალა. შორიგზიანი.
ამპარტავანი. ნელი. დინჯი. თავაზიანი.
მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში.
მორცხვი. კეკელა. მოალერსე. მუსუსი. მრუში.
გახუნებული, მაგრამ მაინც მარად მზიანი.
საოცარია შენი ზანტი მთქნარებით თვალმა:
მზეთა გალხობით რომ მოთენთა უდაბნოს რთველმა.
ქიმერის თავის ღამით გასცქერ ალმურს კომლიანს
თითქოს გესუნთქვის არაბეთის ამწვარი ნარდი
და უშნო ცოხვნით ოდეს ერთვი მელანქოლიას
დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი.

გედის ყივილი

ლურჯი ტალღით,
ცელქით, ლაღით,
ქოჩორს იყრის ტბის ფაფარი;
მთვარის გული,
დასისხლული,
დაჰქათქათებს თავს დამდნარი;
შორით გედი,
თეთრი გედი,
ერთვის ნელა ტბისა ქშენას;
და განცდილი,
მწვავე – ტკბილი,
ეწვეთება სათუთ სმენას...

* * *

თვლემავს ნელა
ის თეთრყელა,
აგონდება ტურფა ლედა:
როს მწყურვალი
და მხურვალი
მისი მკერდით სუნთქვას ლევდა;
ოჰ, იმ სუნთქვის,
ტკბილის, უთქმის,
ახლაც ათრობს მას სურნელი;
ფრთას ისწორებს,
თავს იწონებს,
ტკბილ ხსოვნაში სძირავს ნელი...

* * *

და იქ, შორ – შორს,
ვერცხლის ქოჩორს
უცხო ხილვა თავს ადნება:
თითქო ქაფში,
თუ სარდაფში,
ტურფა ლედა იბადება;
შეჰკრა გედი,
იცნო ბედი.
გადაეშვა ტბის ლურჯა მკერდს;
ლაღი – ფრენით,
ვნება – ლხენით,
აღწევს სატრფოს, ქაფად ნაკვეთს...
მაგრამ ლედა,
ტკბილი ელდა.
გაჰქრა სადღაც, ვით ჩვენება;
შეჰკრთა მჭვრეტი,
ტანწერწეტი,
მოსწყდა გული, გატყდა ნება;
გედი ქაფ – ტანს,
სევდას ატანს,
ეკვრის გულით, ტანჯვას უფრთხობს;
ხოლო შორით
მწარე გრძნობით –
ვეღარ ნახავ – ნისლი უხმობს...

* * *

შედრკა გედი,
იხსნა მკერდი,
ყელი ლაღი მოიღერა;
გულ-ჩამწყდარი,
და თან მტკბარი,
იწყო ცრემლთა მან სიმღერა;
ტბის ფართე გულს,
ათრთოლებულს,
ეფინება ჰანგი მწირის;
გედი დნება,
გედი კვდება
გედი ჰყივის, გედი სტირის...

ხველებისას ნეკნები გაიტეხა

20 წლის ჩინელმა გოგონამ, ხველის ძლიერი შეტევისას, 10 ნეკნი გაიტეხა. გოგონა საავადმყოფოში ძლიერი ხველის გამო მივიდა. იქ მას ასთმის დიაგნოზი დაისვეს და სახლში ინჰალატორით გაუშვეს. თუმცა, შინ მისულ პაციენტს ხველის შეტევები უფრო გაუძლიერდა. გოგონა კლინიკაში უკვე გულმკერდის არეში მწვავე ტკივილით დაბრუნდა. რენტგენზე გაშუქების შემდეგ გაირკვა, რომ ხველის დროს, მან 10 ნეკნი გაიტეხა. მედიკოსებმა ანალიზების ჩატარების შემდეგ დაადგინეს, რომ დაზარალებულს დე-ვიტამინის, კალცისა და ფოსფორის კრიტიკული დეფიციტი აღენიშნებოდა. მისი ძვლები ასეთი მყიფე კი იმის გამო იყო, რომ გოგონა სახლიდან თითქმის არ გადიოდა, ხოლო იშვიათად გასვლისას, მზისგან დამცავ კრემს იყენებდა. ამ ყველაფერს, სილამაზის გამო აკეთებდა – ჩინეთში მიაჩნიათ, რომ ყველაზე ლამაზები, თეთრი პირი-სახის გოგონები არიან.

ბრინჯის „ბანკომატები“ დადგეს

ვიეტნამში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, კორონავირუსის პანდემიის ფონზე გაძლიერებული სოციალური დისტანცირებისას, ბევრი მცირე საწარმო დაიხურა, რამაც უამრავი ადამიანი სამუშაოს გარეშე დატოვა. რაღაცით მაინც რომ დაეხმარონ უსახსროდ დარჩენილებს, ადგილობრივმა ბიზნესმენებმა და მეწარმეებმა, ქვეყნის ზოგიერთ დიდ ქალაქში – ჰანოიში, ჰოშიმინში, ჰიუესა და დანანგში ბრინჯის ავტომატები დადგეს. მსურველებს აქედან პროდუქტის უფასოდ მიღება შეუძლიათ. დედაქალაქ ჰანოიში, ბრინჯი წყლის დიდ რეზერვუარში ყრია და მსურველებზე დილის 8-დან საღამოს 5 საათამდე გაიცემა. ქალაქ ჰიუეს ცენტრში კი, ეგრეთ წოდებული, ბრინჯის "ბანკომატი" დგას, რომელიც თითოეულ ჯერზე, 2 კილოგრამ მარცვლეულს გასცემს. ქალაქ ჰოშიმინში, ბრინჯის ასეთი ბანკომატი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს.

ალიმენტს პიცით გადაიხდის



იტალიაში, ქალაქ პადუას სასამართლომ ადგილობრივ მცხოვრებს უფლება მისცა, ყოფილ ცოლს ალიმენტი ნატურით – პიცის სახით გადაუხადოს. 50 წლის იტალიელის წინააღმდეგ სარჩელით, სასამართლოს მისმა ყოფილმა მეუღლემ მიმართა, თუმცა მოსამართლემ მოპასუხის პოზიცია დაიცვა. მისი თქმით, კაცს უფლება აქვს, ალიმენტი საკვებით იმ შემთხვევაში გადაიხადოს, თუკი მისი შემოსავალი საკმარისი არაა. აღსანიშნავია, რომ გაყრისთანავე, ცოლ-ქმარმა ხელშეკრულება დადო, რომ შვილის აღსაზრდელად, ყოველთვიურად, მამაკაცი 300 ევროს გადაიხდიდა, თუმცა ეკონომიკური კრიზისის დროს, მამამ გადაწყვიტა, ფულით თუ არა, ქალიშვილს საკვებით მაინც დახმარებოდა და საკუთარი პიცერიიდან, ყოველდღიურად, უფასოდ უგზავნიდა პროდუქტს. ყოფილ ცოლს ეს არ მოეწონა და სასამართლოში იჩივლა.

უსუნო ნიორი კოცნისთვის

იტალიურ სამზარეულოში უხვად იყენებენ ნიორს, ამან კი, შესაძლოა, გარკვეული უხერხულობა შექმნას რომანტიკული ვახშმისას ან პაემნებისას – ნივრის სუნი ყველაფერს აფუჭებს. სწორედ ამის გამო, სწავლულთა ჯგუფმა ტოსკანადან გადაწყვიტა, ნივრის ახალი სახეობა გამოეყვანა, რომელსაც სუნი არ ექნებოდა. მათ ცდებს დადებითი შედეგი მოჰყვა და მიიღეს პროდუქტი, რომელსაც „ნიორი კოცნისთვის“ უწოდეს. აღსანიშნავია, რომ ახალი მცენარე არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივისგან – მისი გემო და არომატიც ისეთივე მწვავეა. მკვლევართა თქმით, ნივრის ახალი სახეობის გამოსაყვანად, მათ პროდუქტის ადგილობრივი, მივიწყებული სახობა გამოიყენეს, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ, ძალიან პოპულარული იყო და მერე თითქმის გაქრა.

კარტოფილი კუჭის წყლულს კურნავს

ბრიტანელმა სწავლულებმა მანჩესტერის უნივერსიტეტიდან, კარტოფილში აღმოაჩინეს უნიკალური მოლეკულა, რომელსაც ჯერ სახელიც კი არ აქვს. გაირკვა, რომ ეს ნივთიერება კლავს ბაქტერიებს, რომლებიც კუჭში ანთებითი პროცესების პროვოცირებას იწვევს. კვლევების შედეგად, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ეს ნივთიერება ამას გაცილებით ეფექტურად აკეთებს, ვიდრე ტრადიციული ანტიბიოტიკები, რადგან, მათგან განსხვავებით, ბაქტერიებს რეზისტენტულობა არ ახასიათებთ. ცნობილია, რომ კუჭის წყლულს იწვევს ბაქტერია – Helicobacter pylori, რომლის სამკურნალოდაც, ძირითადად, ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოყენება ნაწლავურ მიკროფლორას აზიანებს. ეს კი, თავის მხრივ, იმუნურ სისტემას აქვეითებს, თანაც ამ დროს, ყოველთვის არსებობს გვერდითი მოვლენების რისკიც. როგორც ჩანს, ბრიტანელი მეცნიერების აღმოჩენა დამაიმედებელია. კუჭის წყლულის მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე დაპატენტებულია, და ალბათ, სულ მალე, გაყიდვაში გამოვა „კარტოფილის წვენი“, როგორც საკვები დანამატი. მკვლევარების აზრით, ამ მარტივი მეთოდით, ნებისმიერი ადამიანი შეძლებს თავის დაცვას ბაქტერიული წყლულისა და გულძმარვისგან.

ტაილანდელი კობრაზე დაქორწინდა

დასავლური პრესა სამხრეთ-აზიელ მამაკაცზე წერს, რომელიც სამმეტრიან გველზე დაქორწინდა. ტაილანდელს მიაჩნია, რომ კობრაში მისი ყოფილი შეყვარებულის სული ჩასახლდა, რომელიც ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. "წყვილი" მთელ დროს ერთად ატარებს. მამაკაცი წუთითაც არ შორდება თავის "ლამაზმანს" – მასთან ერთად უყურებს ტელევიზორს, აწყობს რომანტიკულ პიკნიკებს ტბის სანაპიროზე, მაგიდის თამაშებით ერთობა და დადის სპორტდარბაზში. ცნობილია, რომ ტაილანდელი ყურად არ იღებს არავის გაფრთხილებას, რომ გველთან მეგობრობა, შესალოა, საკმაოდ სახიფათო აღმოჩნდეს. მამაკაცი ბუდიზმის მიმდევარია, ამიტომ სულების გადასახლების სჯერა და სწამს, რომ სიკვდილის შემდეგ, შეიძლება, ადამიანები ცხოვლებად გადაიქცნენ.

თვითმწმენდი პირბადე შექმნეს

სპეციალისტებმა ისრაელიდან განაცხადეს, რომ მრავალჯერადი გამოყენების დამცავი პირბადე შექმნეს, რომელიც „თვითწმენდის“ ფუნქციითაა აღჭურვილი. ნიღაბს USB-პორტი აქვს, რომელიც კვების წყაროს უერთდება და ნახშირბადის ბოჭკოებიან შიდა ფენას 70 გრადუსამდე აცხელებს. ეს ტემპერატურა საკმარისია იმისთვის, რომ კორონავირუსი ნაწარმის ზედა ფენაზე მთლიანად განადგურდეს. მომხმარებლებს ურჩევენ, დეზინფექციის პროცესში, რაც დაახლოებით, 30 წუთს გრძელდება, პირბადე არ ატარონ. გამოგონების ავტორები პატენტის აღებას აშშ-ში აპირებენ, რის შემდეგაც მის კომერციულ წარმოებას დაიწყებენ.

პომიდორი ჯანმრთელობას ვნებს?

ამერიკელი კარდიოლოგი სტივენ ჰანდრი, საკუთარ წიგნში – „მცენარეთა პარადოქსი“ აცხადებს, რომ პომიდორმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ჩვენს ჯანმრთელობას, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი რაოდენობით ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს. სპეციალისტის თქმით, ეს ბაღჩეული კულტურა შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. საუბარია ლექტინებზე – ცილების სახესხვაობაზე, რომლებსაც ეს მცენარე მავნებლებისგან თავის დასაცავად გამოიმუშავებს. კარდიოლოგის თქმით, როცა ის ორგანიზმში ხვდება, ანთებით პროცესებსა და სხვადასხვა დაავადებების განვითარებას იწვევს. ჰანდრი აცხადებს, რომ ცილის ეს სახესხვაობა არა მხოლოდ მავნე ბაქტერიებს ანადგურებს, არამედ, ჯანმრთელ უჯრედებსაც. სწორედ პომიდორს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, თმის ცვენა, კანზე გამონაყარი, ასევე, შესაძლოა, ნაგატიური გავლენა მოახდინოს ტვინის მუშაობაზე.

ძროხის რძისგან არაყი გამოხადეს

კანადელმა ომიდ მაკდონალდმა არყის წარმოება დაიწყო, რომელსაც ძროხის რძისგან ხდის. სიახლე, სახელწოდებით Vodkow, ისევე გამოიყურება, როგორც ნებისმიერი არაყი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საერთოდ არ იწვის, ტკბილი სურნელი და კარამელის გემო აქვს. ახალი სასმელის მისაღებად, მწარმოებელი ულტრაგაფილტრული რძის მიღებისას მორჩენილ პროდუქტს იყენებს – მასში აღარ არის ცილები და ცხიმები, მხოლოდ ვიტამინები და ლაქტოზაა. ეს მორჩენილი მასალა ყოველთვის თავის ტკივილი იყო ფერმერებისთვის, რადგან მისგან უსაფრთხოდ თავის დასაღწევად ფულს იხდიდნენ. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა მაკდონალდმა, ამ "გამოუყენებელი" პროდუქტისგან ალკოჰოლური სასმელის დამზადება. მათ, ვისაც ლაქტოზის აუტანლობა აქვთ, შეუძლიათ, ახალი არაყი თამამად მიირთვან, რადგან საფუარის წყალობით, საბოლოო პროდუქტი ლაქტოზას აღარ შეიცავს.

შამპანური კოსმოსისთვის

შუშხუნა ღვინოების ერთ-ერთმა ფრანგულმა სახლმა, ამ სასმელისთვის ახალი ბოთლი შეიმუშავა, რომლიდანაც შამპანურის დალევა კოსმოსშიც იქნება შესაძლებელი. ბოთლი Zero-G, ორ ნაწილადაა გაყოფილი – ზედა რეზერვუარში სასმელია მოთავსებული, ქვედაში კი სპეციალური სარქველია, რათა ღვინო ქაფის სახით გადმოასხათ. სასმელს სპეციალურ ბოკალებში ასხამენ, თუმცა იმის გამო, რომ კოსმონავტებისთვის ალკოჰოლის მიღება არ შეიძლება, "კოსმოსური შამპანური" მხოლოდ კოსმოსის ტურისტებზეა გათვლილი, რომელთა რაოდენობა მომავალში, საკმაოდ გაიზრდება. ჯერჯერობით კი ორბიტალური ფრენა მხოლოდ რამდენიმე ტურისტმა შეძლო.

ძაღლებს სასტუმრო გაუხსნეს

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში სასტუმრო გაიხსნა, რომელიც ჩვენი ოთხფეხა მეგობრებისთვისაა განკუთვნილი. „ნომრებში“ ორ-ადგილიანი საწოლებია, რომლებიც ვებ-კამერებით არიან აღჭურვილნი, რათა ძაღლების მფლობელებმა მათზე თვალ-ყურის დევნება შეძლონ. სპორტდარბაზში ნავარჯიშევი ცხოველებისთვის, დაღლილობისა და სტრესის მოსახსნელად, მასაჟების სეანსები და მენთოლიანი ტალახის აბაზანებია გათვალისწინებული. ოტელში „კლიენტების“ მენიუც შესაშურია: „საუზმედ“ რბილი ორცხობილა და იოგურტი, ვახშმად – შემწვარი ქათამი, ჩაშუშული ინდაური და კარტოფილის პიურე. ამ სასტუმროში, ძაღლებს სპეციალურ დესერტებსაც სთავაზობენ, აქვე შესაძლებელია, ცხოვლებისთვის წვეულებების – „ქორწილებისა“ და „დაბადების დღეების“ აღნიშვნა. ოტელში დღე-ღამის გატარება ძაღლის პატრონს 100 დოლარი დაუჯდება.

წყალს ჰაერიდან იღებენ

ზაფხულის ცხელ დღეს, ერთი ბოთლი წყლის ჰაერიდან მიღება ახლა ძალიან მარტივად, ყოველგვარი ფოკუსების გარეშე შეიძლება. ავსტრიელმა გამომგონებელმა, კრიშტოფ რეტეზარმა შექმნა მოწყობილობა Fontus, რომელიც ჰაერიდან წყლის კონდენსირებას ახდენს. კრიშტოფმა საკუთარ გამოგონებაში სპეციალური ჰიდროფობული თერმოელექტრული ზედაპირი გამოიყენა, რომელიც ეფექტურად აგროვებს შეგროვილ წყალს. სითხე, ფილტრის გავლით, ბოთლში ჩაედინება. წყლის მოგროვების პერიოდი ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობაზეა დამოკიდებული. როცა ეს მაჩვენებლები მაღალია, მოწყობილობა ნახევარ ლიტრ სასმელს ერთ საათში აგროვებს, ცივ ამინდში ან მშრალი ჰაერის დროს, ამისთვის უფრო მეტი დრო იხარჯება. ველოსიპედით გადაადგილებისას, ჰაერის ნაკადი უფრო ძლიერია და წყალიც სწრაფად გროვდება. Fontus-ის წარმოებაში ჩასაშვებად, გამოგონებელი თანხას ინტერნეტით აგროვებს. მოწყობილობის სავარაუდო ღირებულება, დაახლოებით, 100 დოლარი იქნება.

რა ჩავიცვათ ზაფხულში?

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უკეთესია, ზაფხულის სეზონზე თეთრ ან ღია ფერის ტანსაცმელში გამოვეწყოთ, როგორც ჩანს, მოძველდა. ესპანელი სწავლულები კატალონიის უნივერსიტეტიდან, ამტკიცებენ, რომ მუქი ფერებით დატვირთული ქსოვილი გაცილებით უკეთ შთანთქავს ულტრაიისფერ სხივებს. ისინი კი, რომლებიც პასტელური ტონებით გაჯერებულ ტანისამოსს ამჯობინებენ, კანის კიბოს განვითარების რისკქვეშ იმყოფებიან. მკვლევართა მოსაზრებით, განსაკუთრებით საშიშია პაპანაქება სიცხეში თეთრი ან ყვითელი ტანსაცმლის ჩაცმა. მავნე ულტრაიისფერი სხივებისგან ყველაზე უკეთ მუქი ლურჯი და წითელი ფერები იცავს. ამ დასკვნებამდე სწავლულები ექსპერიმენტების შემდეგ მივიდნენ. მათ ბამბის ქსოვილი სხვადასხვაფრად შეღებეს და შემდეგ შეამოწმეს, როგორ შთანთქავდნენ ისინი ულტრაიისფერ სხივებს. სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ ზაფხულის ტანსაცმელი თავისუფალი უნდა იყოს, რადგან მოტკეცილი მაისურები ან კაბები მზის საშიში სხივებისგან ვერ გვიცავენ.

როგორ ამოვიცნოთ დაავადება გარეგნობის მიხედვით?

ადამიანების უმრავლესობამ არ იცის, როგორ ამოიცნოს დაავადება მის ყველაზე ადრეულ სტადიაზე. ზოგი პირდაპირ ექიმს მიმართავს მაშინ, როდესაც რამე ასტკივდება. რასაკვირველია, ეს სწორია, მაგრამ ვეცდებით, გასწავლოთ, იმაზე ადრე "დაინახოთ" დაავადება, ვიდრე რომელიმე ორგანო აგტკივდებათ. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ამის გაკეთება ადამიანის გარეგნობის, უფრო ზუსტად, ხელების, ფეხების, სახის, თვალებისა და აღნაგობის მიხედვითაცაა შესაძლებელი. გარდა ამისა, გარეგნობის მიხედვით, ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტიც დგინდება.

დავიწყოთ სიმაღლით – მაღალ ადამიანებს გონებრივი უნარ-ჩვევები კარგად აქვთ განვითარებული, მაგრამ სუსტები არიან გაციებისა და ნერვული აშლილობების წინააღმდეგ. ფიზიკურად და სოციალურად აქტიურ, დაბალ პიროვნებებს ხშირად აწუხებთ საჭმლის მომნელებელი და სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები. ვისაც გრძელი და სქელი ხელები და ფეხები აქვს, საკმაოდ ძლიერები არიან ფსიქიკურად, მაგრამ ძალიან მოწყვლადები – სოციალურ და ინტელექტუალურ სფეროში. ყურადღება მივაქციოთ მხრებსაც – თუ ადამიანს ერთი მხარი მეორეზე მაღალი აქვს, ორგანოები, რაც ამ მაღალი მხრის მხარეს არიან განლაგებულნი, უფრო სუსტები არიან. ჩამოშვებული მხრები ქალური საწყისის მანიშნებელია – დაბალანსებული ნერვული სისტემით, ასევე, აქტიური ფიზიკური და ფსიქიკური საქმიანობით. კვადრატული მხრების მქონე ადამიანები მამაკაცური ხასიათითა და დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩევიან.

ფეხების სიმაღლეზეა დამოკიდებული ადამიანის აქტიურობა. მოკლე ფეხების მქონეებს დიდხანს ჯდომა არ შეუძლიათ – მათ სიარული ან დგომა უფრო უყვართ, ინფორმაციასაც ფეხზე მდგომები უფრო ადვილად ითვისებენ. გრძელი ფეხების მქონე ადამიანს კი, პირიქით, დიდხანს დგომა ან სიარული არ შეუძლია, მას გამუდმებით დაჯდომის სურვილი აქვს. რაც შეეხება ხელის თითებს – გრძელი თითები მეტად ემოციურ და ესთეტურ ნატურაზე მიანიშნებს, მოკლე – ნეგატიური გარემო-ფაქტორების მიმართ დიდი წინააღმდეგობის მქონე ნატურაზე. თუ საჩვენებელი თითი უსახელოზე გრძელია – შესაძლოა, მის პატრონს მსხვილი ნაწლავის თანდაყოლილი პათოლოგია აწუხებს. თუ საჩვენებელი და შუა თითი ერთი ზომისაა – აქ გულისა და კუჭის დაავადებების ალბათობა გვაქვს. თუ თითების მოქნილობა დაკარგეთ, ეს ნიშნავს, რომ გაქვავდა კუნთები, არტერიები და ვენები არა მხოლოდ თითებში, არამედ, მთელ ორგანიზმშიც.

ხელ-ფეხის თითები გარკვეულ ორგანოსა და ფუნქციას შეესატყვისება. ხშირად მათი გარეგნული სახე მათ მუშაობაზე გვაწვდის ინფორმაციას. მაგალითად, ხელის დიდი თითი ფილტვებია, საჩვენებელი – მსხვილი ნაწლავი, ნეკა – გული და სხვა. ფეხის დიდი თითი კუჭქვეშა ჯირკვალია, მეორე – კუჭი, მესამე – თორმეტგოჯა ნაწლავი, მეოთხე – ნაღვლის ბუშტი, მეხუთე – შარდის ბუშტი. სხვათა შორის, დაავადებების შესახებ ინფორმაციას ფრჩხილების ფერრიც გვაწვდის. მაგალითად, ლურჯი ფერის ფრჩხილი გულის უკმარისობაზე მიანიშნებს, ყვითელი – ღვიძლის ჰეპატიტსა და ციროზზე, მომწვანო-ყვითელი ფერი ორგანიზმში ჩირქოვან პროცესებს გვატყობინებს, წითელი – არითმიასა და სისხლის დაავადებებს, ღია ვარდისფერი – ანემიას. ყვითელი ლაქები ფრჩხილზე, ტვინის ფუნქციის დარღვევებს ნიშნავს.

თვალები არა მხოლოდ სულის სარკეა, არამედ, სხეულისაც. თუ ადამიანს თვალიდან ცრემლი სდის, ეს ორგანიზმში კალიუმის ნაკლებობაზე მიანიშნებს, გაფართოებული გუგები – ნერვოზულობასა და შფოთვას ნიშნავს, ჩაწითლებული თვალები კი სისხლის წნევის, ხშირად, ტვინისშიდა დარღვევაზე მიგვითითებს. თვალის ფორმის მიხედვით კი ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მრგვალი ფორმის თვალის მქონე პიროვნება ფეთქებადი ნატურაა, თუმცა ეს აფეთქება დიდხანს არ გრძელდება. მრგვალი თვალები არასოდეს აქვთ შურისმაძიებელ ადამიანებს. ნუშისებური ჭრილი პიროვნების სისასტიკეზე მიანიშნებს. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდათ ძველ დროში. ახლა კი ამბობენ, რომ ასეთი ადამიანი, შესაძლოა, მეტად მგრძნობიარე და დახვეწილი პიროვნებაა.

ჰობი სამსახურად აქცია

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებს, 62 წლის არჩი უორკმენს უჩვეულო ჰობი აქვს – ის საგზაო ნიშნებს ასუფთავებს. როგორც თავად ამბობს, ძალიან ცოტა ადამიანი აქცევს ყურადღებას ამ მნიშვნელოვანი ნიშნების სისუფთავეს. ამის გამო, ის რეგულარულად "შეიარაღდება" ხოლმე ვედროთი, ჩვრითა და კიბით და საგზაო ნიშნებიდან მტვერსა და ჭუჭყს რეცხავს. მისი გვერდი სოციალურ ქსელში, სავსეა ამ გალამაზებული ნიშნებით. არჩის გატაცება ადგილობრივმა ხელისუფლებამაც შეამჩნია და მას სამსახური შესთავაზა – გზების მცველი, როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო. ახლა გზების სუფთა და სასიამოვნო "გარეგნობაზე" ზრუნვა უკვე მისი მოვალეობაა. ამ ამბის გახმაურების შემდეგ, უორკმენს მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. ერთმა ადამიანმა ერთი საგზაო ნიშანიც რომ გაასუფთაოს, ქალაქს ძალიან დაეხმარება, – ამბობს არჩი.

იმუნური სისტემის დაბერება კიბოს იწვევს



დაბერებადი იმუნური სისტემა ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, – ამ დასკვნამდე შოტლანდიელი სწავლულები მივიდნენ, დანდის უნივერსიტეტიდან. ეს იმით აიხსნება, რომ დროთა განმავლობაში, დნმ-ში გროვდებიან დეფექტები, რომლებმაც, შესაძლოა, უჯრედი გადაგვარებამდე მიიყვანონ. მიჩნეულია, რომ კიბოს განვითარებისთვის 5 ან 6 მუტაციაა საჭირო. 18-დან 70 წლის ასაკის ორ მილიონამდე პაციენტის საფუძვლიანი შესწავლითა და ანალიზით, ხანდაზმულებში იმუნური სისტემის აქტივობის დაქვეითებასა და ავთვისებიანი სიმსივნის ფორმირების ასაკობრივ სიხშირეს შორის კავშირი დადგინდა. იმუნური სისტემის დაბერების მთავარ მიზეზად მკვლვარები თიმუსის – მკერდსუკანა ჯირკვლის დისფუნქციას ასახელებენ. ამ ორგანოს უკავშირდება T-უჯრედების გამომუშავება-მომწიფება. ყოველ 16 წელიწადში, თიმუსი ზომაში მცირდება, შესაბამისად, ქვეითდება ლიმფოციტების გამომუშავება, რომლებიც სიმსივნურ უჯრედთა ამოცნობასა და განადგურებას ემსახურებიან. შოტლანდიელ მკვლევართა აზრით, თიმუსის აქტივობის სტიმულაცია ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

ქლიავი – უნიკალური სუპერპროდუქტი

ექსპერტები აშშ-დან გვირჩევენ, რომ აუცილებლად ჩავრთოთ ჩვენს რაციონში შავი ქლიავი, რომელიც ანტიოქსიდანტების მაღალი კონცენტრაციით გამორჩევა. მთლიანობაში, ეს ხილი ხელს უწყობს საკვების მონელების ჯანსაღ პროცესს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, ეხმარება ორგანიზმს ინფექციებთან და სიმსივნესთან ბრძოლაში. ქლიავი აწესრიგებს სისხლის შედედების პროცესსაც, ის სასარგებლოა დიაბეტიანი ადამიანებისთვის, რადგან სისხლში შაქრის სტაბილური დონის შენარჩუნებას უწყობს ხელს. სპეციალისტები გვირჩევენ, ყოველდღიურად, 3 ცალი შავი ქლიავი მაინც მივირთვათ. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, ამ ხილის ჩირი, რომელიც დიდი რაოდენობით პოლიფენოლებს შეიცავს, ორგანიზმს ნაწლავების კიბოსთან ბრძოლაში ეხმარება – ხელს უშლის საშიში წარმონაქმნების განვითარებას.

ყველი ინსულტის რისკს ამცირებს

ყველის რეგულარული მოხმარება ინსულტის განვითარებისა და გულის დაავადებების რისკს ამცირებს, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჩინელი სპეციალისტები, სუჩჟოუს უნივერსიტეტიდან. სწავლულებმა 15 კვლევის მონაცემები შეისწავლეს, რომელიც ამერიკელმა და ევროპელმა მეცნიერებმა ჩაატარეს – რამდენიმე წლის განმავლობაში, მათში 200 ათასამდე უფროსი ასაკის ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდებოდა. ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად, თუნდაც 40 გრამ ყველს მიირთმევდნენ, გულის იშემიური დაავადებების რისკი 14%-ით ნაკლები ჰქონდათ, 10%-ით ნაკლები კი – ინსულტის რისკი მათთან შედარებით, რომლებიც ყველს თითქმის არ მიირთმევენ. სპეციალისტების თქმით, დიდი ალბათობით, ამის მიზეზი ის არის, რომ ყველი დიდი რაოდენობით ნაჯერ ცხიმებს შეიცავს და არ უწყობს ხელს დიდი რაოდენობით ქოლესტერინის გამომუშავებას.

ბიუსტჰალტერი მამაკაცებისთვის

იაპონური ინტერნეტ-მაღაზია საკუთარ კლიენტებს ბიუსტჰალტერებსა და აბრეშუმის ღამის პერანგებს სთავაზობს მამაკაცებისთვის. მიუხედავად ქსოვილზე არსებული ყვავილებისა და მაქმანებისა, თეთრეული სპეციალურად ძლიერი სქესისთვის, მათი ანატომიის გათვალისწინებითაა შექმნილი. მაღაზიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალი ხაზი მამაკაცებს საშუალებას მისცემს, ისეთივე რბილი და მდიდრული თეთრეულით ისარგებლონ, როგორსაც მშვენიერი სქესი იყენებს. ჯერჯერობით უცნობია, იქნება თუ არა ამომავალი მზის ქვეყანაში მოთხოვნა ახალ პროდუქციაზე. საცვლების ახალი ხაზი თავისუფალ გაყიდვაში უკვე მომავალი თვიდან გამოჩნდება.

რეპროდუქტიული უნარი სისხლის ჯგუფის მიხედვით?

სისხლის ჯგუფი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციაზე ახდენს გავლენას, რის გამოც, დიდი ხანია, მედიკოსები მას სხვადასხვა მხრივ სწავლობენ. ამ თემაზე ჩატარებულმა ბოლო გამოკვლევამ აჩვენა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სისხლის ჯგუფი გავლენას ახდენს სექსუალურობასა და რეპროდუქტიულ უნარზე. იელის უნივერსიტეტის მეცნიერთა ექსპერიმენტში 45 წლამდე ასაკის 563 ქალბატონი მონაწილეობდა. ყველა მათგანს პრობლემები ჰქონდა ფერტილურობასთან დაკავშირებით. როცა მათი სისხლის ჯგუფი შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ უფრო მეტი პრობლემები ჩასახვასთან დაკავშირებით სისხლის პირველი ჯგუფის მქონე ქალებს ჰქონდათ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლების ფერტილურობის პარამეტრები ორჯერ უარესი იყო, ვიდრე სხვა ჯგუფის წარმომადგენელი მანდილოსნებისა. კვლევამ ცხადჰყო, რომ პირველი ჯგუფის სისხლი, რაღაც სახით, გამომუშავებული კვერცხუჯრედების რაოდენობას ამცირებს. სხვა ჯგუფის ქალებში, მთელი ცხოვრების განმავლობაში, დაახლოებით 400 ათასი სასქესო უჯრედი გამომუშავდება, პირველი ჯგუფის მქონეებში კი – გაცილებით ნაკლები. არადა, დედამიწის მოსახლეობის 44%-ს, სწორედ პირველი ჯგუფი სისხლი აქვს, მეორე ჯგუფი – 42%-ს, ხოლო მე-3 და მე-4 ჯგუფის სისხლი – პლანეტის მოსახლეობის 14%-ს.

აივ-ინფექცია ძალას კარგავს?!

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ გადარჩენისთვის ბრძოლოს დროს, ვირუსი დამანგრეველ მუტაციას განიცდის. თუ ახლა აივ-ინფექცია ადამიანის ორგანიზმში მოხვდება, შიდსის გამოსაწვევად, მას უფრო მეტი დრო დასჭირდება. თუ 20 წლის წინ, იმუნოდეფიციტის განვითარების დრო 10 წელიწადს შეადგენდა, ბოლო პერიოდში, ეს ვადა, მაგალითად, ბოტსვანაში, 13 წლამდე გაიზარდა. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ცვლილებები, რაც ვირუსში ხდება, საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტურად გავუმკვალდეთ ამ საშინელი დაავადების გავრცელებას. ზოგიერთი ვირუსოლოგი იმასაც ვარაუდობს, რომ დროთა განმავლობაში, აივ-ინფექცია საერთოდაც უსაფრთხო გახდება, თუკი ის გააგრძელებს მუტაციას. ვარაუდობენ იმასაც, რომ ანტირეტროვირუსული პრეპარატები აივ-ს აიძულებს, უფრო რბილი ფორმით განიცადოს მუტაცია და პირველ რიგში, მის უფრო აგრესიულ სახეობებს შეუტიოს. თუმცა ამის მიუხედავად, მკვლვარები გვაფრთხილებენ, რომ ვირუსის შესუსტებული ვერსიაც კი განსაკუთრებით საშიშია და შეუძლია შიდსის გამოწვევა.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.